ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების მონაწილეობითი პროცესი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავება მოხდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ,,იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელ თემთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერა აქტიურ დიალოგში და გადაწყვეტილებების მიღებაში მათი ჩართვის გზით" ფარგლებში. პროექტს ახორციელებს ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია ,,ოქსფამი", ,,საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, ,,ველფეარ ფაუნდეიშენი" და ,,ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია - დეა". ასევე პროექტში აქტიურად იყო ჩართული ამავე პროექტის ფარგლებში შექმნილი განვითარების კომიტეტი და ზუგდიდის მუნიციპალიტეტი.

2010 წლის მაისში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ,,ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია - დეას" ინიციატივით შეიქმნა ,,განვითარების კომიტეტი" რომელშიც გაწევრიანდნენ ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლები, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების (საკრებულოს და გამგეობის) წევრები. ,,განვითარების კომიტეტის" მიზანს წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის პროფილის განახლება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის ობიექტების და მათი ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება, პრიორიტეტების გამოვლენა და ადგილობრივი განვითარებისათვის წინადადებების მომზადება.

აღნიშნულ ჯგუფს ჩაუტარდა შესაბამისი ტრენინგები, რომელსაც ფასილიტაციას უწევდა ,,საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია".

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის დოკუმენტის მომზადებას კოორდინირებას უწევდნენ:

შოთა მურღულია - პროექტის ,,ერთად ჩვენ შევძლებთ" ექსპერტი
ოთარ კონჯარია - ,,საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" ექსპერტი

გეგმაზე მუშაობდნენ, განვითარების კომიტეტის წევრები:

1. **მადონა ჯაბუა** – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი;
2. **ლაშა ჯიქია** – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპეციალისტი;
3. **რევაზ ხაინდრავა** – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე;
4. **გიორგი ალასანია** – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა შემსწავლელი კომისიის წევრი;
5. **ქრისტინა კილანავა** – არასამთავრობო ორგანიზაცია „იმედი – დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის" ხელმძღვანელი;
6. **მარინა დავითაია** – არასამთავრობო ორგანიზაცია „სამეგრელო-მედეას" ხელმძღვანელი;
7. **ნათია ბჟალავა** – **„AVON cosmetics Georgia"**-ს პარტნიორი, ინდ. მეწარმე;
8. **ლაშა ახალაია** – ბიზნესსაკონსულტაციო ცენტრ „ზუგდიდი კონსალტინგის" დირექტორი;

9. **ლორა ქობალია** – გაზეთ „სამეგრელოს ქრონიკას“ დამფუძნებელი;
10. **თამარ ზანთარაია** – ჟურნალისტი;
11. **მიმოზა ცხონდია** – გაზეთი „აფხაზეთი“;
12. **ინეზა ბულისკირია** – სათემო ჯგუფის ლიდერი, „საკონსერვოს“ თემის წარმომადგენელი;
13. **ლია ჯონჯუა** – სათემო ჯგუფის ლიდერი, ორსანტიის თემის წარმომადგენელი;
14. **კონსტანტინე შეროზია** – სათემო ჯგუფის ლიდერი, „მე-12 ტრესტის ავტოფარეხის“ თემის წარმომადგენელი;
15. **ნანა გულორდავა** – ასოციაცია – დეა, პროექტის კოორდინატორი;
16. **ლაშა იაშვილი** – ასოციაცია – დეა, პროექტის კოორდინატორი.

გეგმის შედგენის პროცესი მოიცავდა შემდეგი ტიპის სამუშაოების შესრულებას:

ინფორმაციის მოძიება-ანალიზი;
მუნიციპალიტეტის ზოგადი პროფილის განსაზღვრა;
მოსახლეობის გამოკითხვა ანკეტირების საშუალებით;
გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
მუნიციპალიტეტის ხედვის ჩამოყალიბება;
განვითარებისათვის პრიორიტეტების განსაზღვრა;
პრიორიტეტების შესაბამისი სტრატეგიული მიზნების და ამოცანების განსაზღვრა;
გეგმის დოკუმენტის მომზადება.

შინაარსი

1. თვითმმართველობის სამართლებრივი საფუძვლები
1.1. ზოგადი სამართლებრივი საფუძვლები
1.2. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შედგენისა და განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები (ასპექტები)

2. მუნიციპალიტეტის პასპორტი

2.1. ძირითადი აქტორები
2.1.1. ადგილობრივი თვითმმართველობა
2.1.1.1. წარმომადგენლობითი ორგანო
2.1.1.2. აღმასრულებელი ორგანო
2.1.2. ცენტრალური ხელისუფლების ტერიტორიული ორგანოები
2.1.3. ბიზნესსექტორი
2.1.4. საერთაშორისო ორგანიზაციები და მისიები
2.1.5. არასამთავრობო ორგანიზაციები
2.1.6. ადგილობრივი მედია

2.2. გეოგრაფიული მდებარეობა

2.3. ბუნებრივი რესურსები

2.4. ადამიანური რესურსები და სოციალური კაპიტალი

2.5. ინფრასტრუქტურა
2.5.1. სოციალური ინფრასტრუქტურა
2.5.2. ტექნიკური ინფრასტრუქტურა

2.6. დარგობრივი ეკონომიკა
2.6.1. მთლიანი შიდა პროდუქტი
2.6.2. სოფლის მეურნეობა
2.6.3. ტრანსპორტი
2.6.4. ტურიზმი

2.7. სოციალური მდგომარეობა
2.7.1. სოციალურად დაუცველი მოსახლეობა
2.7.2. იძულებით გადაადგილებული პირები
2.7.3. პენსიონრები კატეგორიების მიხედვით
2.7.4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები
2.7.5. სხვა სოციალური ფენები

2.8. საჯარო ფინანსები (ადგილობრივი ბიუჯეტი)
2.8.1. ბიუჯეტის შემოსულობების ანალიზი
2.8.2. ბიუჯეტის გადასახდელები

3. მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები
3.1. გამოკითხვის მეთოდოლოგია
3.2. ძირითადი მიგნებები

4. „განვითარების კომიტეტის" ხედვა მუნიციპალიტეტის განვითარებასთან დაკავშირებით

5. პროგრამის პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები
5.1. პრიორიტეტების შერჩევის კრიტერიუმები

5.2. პრობლემის ანალიზი შერჩეული სფეროების (პრიორიტეტების) მიხედვით
5.2.1. ადგილობრივი მნიშვნელობის გზები
5.2.1.1. ძირითადი პრობლემის აღწერა
5.2.1.2. ძირითადი პრობლემის გამომწვევი მიზეზები
5.2.1.3. ძირითადი პრობლემის უარყოფითი გავლენა გარემოზე
5.2.2. წყალმომარაგება
5.2.2.1. ძირითადი პრობლემის აღწერა
5.2.2.2. ძირითადი პრობლემის გამომწვევი მიზეზები
5.2.2.3. ძირითადი პრობლემის უარყოფითი გავლენა გარემოზე
5.2.3. ერთჯერადი სოციალური დახმარებები
5.2.3.1. ძირითადი პრობლემის აღწერა
5.2.3.2. ძირითადი პრობლემის გამომწვევი მიზეზები
5.2.3.3. ძირითადი პრობლემის უარყოფითი გავლენა გარემოზე
5.2.4. მუნიციპალური ნარჩენების მართვა
5.2.4.1. ძირითადი პრობლემის აღწერა
5.2.4.2. ძირითადი პრობლემის გამომწვევი მიზეზები
5.2.4.3. ძირითადი პრობლემის უარყოფითი გავლენა გარემოზე
5.3. პროგრამის მიზნები, ამოცანები, საქმიანობები
5.3.1. ადგილობრივი მნიშვნელობის გზები - პრიორიტეტი №1
5.3.2. წყალმომარაგება - პრიორიტეტი №2
5.3.3. ერთჯერადი სოციალური დახმარებები - პრიორიტეტი №3
5.3.4. მუნიციპალური ნარჩენების მართვა - პრიორიტეტი №4
5.4. პროგრამის განხორციელების სავარაუდო გეგმა და რესურსები

1. თვითმმართველობის სამართლებრივი საფუძვლები

1.1. ზოგადი სამართლებრივი საფუძვლები

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ევროპული ქარტია, საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ და აქედან გამომდინარე სხვა ნორმატიული აქტები.

საქართველოს კონსტიტუციის მე-7[1] თავით (ძალაშია 2011 წლიდან) დადგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შექმნის, წარმომადგენლობითი ორგანოების პირდაპირი წესით არჩევის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო ორგანოებს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის, დელეგირებული უფლებამოსილებების მატერიალურ-ფინანსური უზრუნველყოფის, თვითმმართველი ერთეულის მიერ საკუთარი ქონებისა და ფინანსების ფლობის, თვითმმართველობის ორგანოებზე სახელმწიფო ზედამხედველობის გონივრულ ფარგლებში, ზედამხედველობის მიზნების პროპორციულად განხორციელების სამართლებრივი გარანტიები.

2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოში 69 თვითმმართველი ერთეულია. აქედან 64 - მუნიციპალიტეტია და 5 - თვითმმართველი ქალაქი. თვითმმართველ ქალაქებს შორის ერთ-ერთია საქართველოს დედაქალაქი - თბილისი. თბილისის განსაკუთრებული სტატუსის, ინსტიტუციური მოწყობისა და უფლებამოსილებების საკითხები რეგულირდება ,,საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივ თვითმმართველობას განმარტავს, როგორც მოქალაქეთა უფლებას და შესაძლებლობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოაწესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები საკუთარი პასუხისმგებლობით და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.

საქართველოში თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპებია:

- მოქალაქეთა უფლება მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში;
- თვითმმართველობის ორგანოთა დამოუკიდებლობა კანონით მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტაში;
- საქართველოს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;
- თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის საჯაროობა;
- ანგარიშვალდებულება მოქალაქეთა წინაშე;
- სახელმწიფოსა და თვითმმართველი ერთეულის ურთიერთთანამშრომლობა და დახმარება;
- სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის გამიჯვნა;
- სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შორის დავის სასამართლოს წესით გადაწყვეტა;
- თვითმმართველი ერთეულის საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

თვითმმართველი ერთეული არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, გააჩნია საკუთარი საჯარო კომპეტენციები, ქონება და ბიუჯეტი.

თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ინსტიტუციაა წარმომადგენლობითი ორგანო - **საკრებულო,** რომელსაც ირჩევს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები (დადგენილი წესით რეგისტრირებული) საქართველოს მოქალაქეები ოთხი წლის ვადით, პირდაპირი წესით, შერეული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. შესაბამისად, საკრებულო შედგება მაჟორიტარული და პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს საკრებულოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს, რომელთა გადაწყვეტა მხოლოდ საკრებულოს პრეროგატივაა და მათი დელეგირება თვითმმართველობის სხვა ორგანოებზე დაუშვებელია. აღნიშნული უფლებამოსილებებიდან შეიძლება გამოიყოს:

ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება;
საკრებულოს თავმჯდომარის, რომელიც თვითმმართველი ერთეულის უმაღლესი თანამდებობის პირია, არჩევა;
ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და სხვა.

თუმცა, განსაკუთრებული უფლებამოსილებებიდან, შეიძლება ითქვას, უმთავრესია საკრებულოს უფლებამოსილება დაამტკიცოს როგორც საკუთარი, ისე აღმასრულებელი ორგანოს, მისი სამსახურებისა და ტერიტორიული ორგანოების დებულებები, ანუ მოახდინოს თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებების გადანაწილება თვითმმართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს შორის.

საკრებულოში განსახილველი საკითხების წინასწარი მომზადების, მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების ხელშეწყობისა და აღმასრულებელი ორგანოების კონტროლის მიზნით იქმნება საკრებულოს კომისიები. კომისიის დებულებასა და შემადგენლობას ამტკიცებს საკრებულო. კომისის თავმჯდომარე აირჩევა საკრებულოს მიერ, საკრებულოს წევრთაგან.

თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოა **გამგეობა**. იგი შედგება სტრუქტურული ერთეულებისა (სამსახურები) და ტერიტორიული ორგანოებისაგან (რწმუნებულები). გამგეობის დებულებასა და სტრუქტურას ამტკიცებს საკრებულო. გამგეობისა და მისი სამსახურების უმთავრეს ფუნქციას საკრებულოს გადაწყვეტილებათა აღსრულება წარმოადგენს.

1.2. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შედგენისა და განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები (ასპექტები)

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება: თვითმმართველ ერთეულში ინვესტიციების ხელშეწყობა, დასაქმების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცება; თვითმმართველი ერთეულის კეთილმოწყობის, გამწვანებისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების დამტკიცება;

თვითმმართველი ერთეულის სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმების შემუშავება და დამტკიცება.

ეს პროგრამები, მათი შინაარსიდან გამომდინარე სავსებით ლოგიკური და ეფექტიანია შემუშავდეს, დამტკიცდეს და განხორციელდეს არა ცალ-ცალკე, არამედ, ერთიანი **სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის** სახით, რადგანაც ყველა ეს პროგრამა თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ისახავს მიზნად. ერთიანი **სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის** შემუშავების, დამტკიცებისა და განხორციელების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმადაც გარდა საკუთარ კომპეტენციებში შემავალი საკითხებისა, თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ისეთ საკითხებზე, რომელიც კანონის თანახმად არ განეკუთვნება ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილებას და არ არის აკრძალული თვითმმართველი ერთეულისთვის.

2. მუნიციპალიტეტის პასპორტი

2.1 ძირითადი აქტორები

2.1.1. ადგილობრივი თვითმმართველობა

2.1.1.1. წარმომადგენლობითი ორგანო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლება წარმოდგენილია წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულოთი და თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოთი - გამგეობით.

მუნიციპალიტეტის საკრებულო 41 წევრისაგან შედგება, რომელთაგან 31 მაჟორიტარული სისტემითაა არჩეული, ხოლო 10 პროპორციული წესით. საკრებულოში შექმნილია 5 მუდმივმოქმედი კომისია, ესენია:

- **ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისია,** რომელიც წარმოდგენილია 9 წევრით.
- **სამანდატო და იურიდიულ საკითხთა კომისია,** წარმოდგენილია 8 წევრით.
- **სარევიზიო საკითხთა კომისია** - 11 წევრი.
- **საფინანსო საკითხთა კომისია** - 9 წევრი.
- **სოციალური, ჯანდაცვის, კულტურის, განათლებისა და სპორტის საკითხთა კომისია** - 5 წევრი.

საკრებულოში შექმნილია ერთი ფრაქცია - **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში დასაქმებულია 22 ადამიანი, მათ შორის 6 ხელშეკრულებით მომუშავეა.

2.1.1.2. აღმასრულებელი ორგანო

მუნიციპალიტეტში საკრებულოს გადაწყვეტილებების აღსრულებას უზრუნველყოფს აღმასრულებელი ორგანო – გამგეობა. ადგილობრივი თვითმმართველობის 2010 წლის არჩევნების შემდეგ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელად შერჩეული და დამტკიცებული იქნა ალექსანდრე ქობალია, გამგებლის მოადგილეებად კი – რუსლან კილასონია და დარეჯან გაბედავა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურა 2010 წლის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

- გამგეობის აპარატის სამსახური
- ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური
- საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური
- კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობასთან ურთიერთობის სამსახური
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახური
- სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური
- დამხმარე მოსამსახურეები
- ტერიტორიული მართვის ორგანო (მუნიციპალიტეტში 31 მართვის ტერიტორიული ორგანოა ქ. ზუგდიდის ჩათვლით).

2.1.2. ცენტრალური ხელისუფლების ტერიტორიული ორგანოები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს სამეგრელო – ზემო სვანეთის ადმინისტრაციულ ცენტრს, შესაბამისად მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია და ასევე ცენტრალური ხელისუფლების შემდეგი ტერიტორიული ორგანოები:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო – ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ზუგდიდის რაიონული სამმართველო;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახური;
- სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ზუგდიდის სამსახური;
- სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ზუგდიდის რაიონული სამმართველო;

- სამეგრელო – ზემო სვანეთის რეგიონული სატყეო სამმართველო;
- სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ზუგდიდის მომსახურების ცენტრი;
- გარემოს დაცვის ინსპექცია;
- განათლების სამინისტროს ზუგდიდის საგანმანათლებლო ცენტრი;
- საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა მომსახურების ზუგდიდის განყოფილება;
- რეგიონალური ხაზინა სამეგრელო – ზემო სვანეთში;
- სტატისტიკის ზუგდიდის განყოფილება;
- ზუგდიდის საოლქო სასამართლო;
- სახელმწიფო ქონების აღრიცხვის და პრივატიზების ზუგდიდის სამმართველო;
- ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისია.

2.1.3. ბიზნესსექტორი

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ზუგდიდის რეგიონული სავაჭრო–სამრეწველო პალატა, რომელიც წარმოადგენს რეგიონში წარმომადგენლობით ბიზნესსაზოგადოებას. ის აერთიანებს 130-მდე რეგისტრირებულ კომპანიას და ფირმას. პალატის მთავარი ამოცანაა წარმოადგინოს და დაიცვას თავის წევრთა ინტერესები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ხელი შეუწყოს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრებას, ეროვნული პროდუქციის პოპულარიზაციას, დაეხმაროს რეგიონის ბიზნესმენებს საკუთარი პროდუქციის შექმნასა და ახალი ბაზრების ათვისებაში, ასევე რეგიონს ინვესტიციების მოზიდვაში.

სავაჭრო-სამრეწველო პალატების ფუნქციებში ასევე შედის: საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემა, საქონლის რაოდენობის ექსპერტიზა, გამოფენა-ბაზრობების მოწყობა და სხვა. ზუგდიდის რეგიონული სავაჭრო–სამრეწველო პალატის მოქმედების ფარგლებად განსაზღვრულია სამეგრელო – ზემო სვანეთის მხარე, მასში შემავალი 8 მუნიციპალიტეტი ფოთის გარდა.

2006 წლის მარტიდან ზუგდიდის რეგიონულ სავაჭრო-სამრეწველო პალატაში ფუნქციონირებს ბიზნესსაკონსულტაციო ქსელი საქართველოს ზუგდიდი კონსალტინგი. ზუგდიდის ბიზნესსაკონსულტაციო ცენტრი დაფუძნდა 2006 წლის 10 მარტს სავაჭრო - სამრეწველო პალატის ბაზაზე ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს - USAID -ის პროექტის (მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა) ფარგლებში, საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრის სახით, სახელწოდებით – ,,ზუგდიდი კონსალტინგი".

2010 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამრეწველო საწარმოების რაოდენობა შეადგენს 17-ს. მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ღირებულება დაახლოებით 26,6 მილიონი ლარია, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა კი 527 კაცია.

2.1.4. საერთაშორისო ორგანიზაციები და მისიები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში განლაგებულია რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის ოფისი და მათი აქტივობა რეგიონში საკმაოდ აქტიურია.

ცხრილი №1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციები

დასახელება	დასაქმებულთა რაოდენობა	საქმიანობის მიმართულებები
ადამიანი გაჭირვებაში (People in Need)	6-10	დახმარებისა და განვითარების საქმიანობები ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული თავისუფლების დაცვა იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება
CHF International- საქართველო	5-8	თემის მობილიზაცია სარეაბილიტაციო სამუშაოები
UN (UNDP, UNHCR, UNIFEM)	15-20	სამოქალაქო საზოგადოების განვითარება მოსახლეობის მოწყვლადი ფენების დახმარება (ქუჩის ბავშვები, ქალები, დევნილები) დემოკრატიული მმართველობის ხელშეწყობა
EUMM		სადამკვირვებლო მისია
ICRC	15-20	ომის შედეგად დაზარალებულთა დახმარების პროგრამა
ACF	10-15	თემის განვითარება აგრო–ბიზნესის ხელშეწყობა–განვითარება
ლტოლვილთა დანიის საბჭო (DRC)	20-25	დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებულთა პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტა

2.1.5. არასამთავრობო ორგანიზაციები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასამთავრობო ორგანიზაციები მრავლადაა დარეგისტრირებული, თუმცა ბევრი მათგანი რეალურად არ ფუნქციონირებს. 2010 წლის მდგომარეობით მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები 25-მდეა. მათი საქმიანობის ძირითად სფეროებს წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა, სოციალურად დაუცველი ფენებისა და დევნილების უფლებების დაცვა, ქალთა და გენდერულ პრობლემებზე მუშაობა, შშმპ უფლებების დაცვა და სხვა.

ცხრილი №2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები

დასახელება	საქმიანობის მიმართულებები
„აფხაზეთი“ - ზუგდიდის ფილიალი	იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვა და დასაქმების ხელშეწყობა განათლების ხელშეწყობა (პროფესიული გადამზადება)
„მერკური“	ქალთა უფლებების დაცვა ადგილობრივ და დევნილ ქალთა განათლება და ჯანდაცვა მცირე ბიზნესის, მათ შორის ქალთა მეწარმეობის განვითარება სოციალურად დაუცველი ფენების დახმარება
აფხაზ-ქართველთა შერიგების საზოგადოება	დევნილთა უფლებების დაცვა
თემის მხარდაჭერის ცენტრი	თემის თანამონაწილეობით პირველადი სამედიცინო მომსახურება უფლებების დაცვა
„სამეგრელო მედეა“	სამეგრელოს რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების განვითარება ადამიანის უფლებების დაცვა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ახალგაზრდებში კონფლიქტოლოგიის უნარ–ჩვევების, მშვიდობის კულტურის სწავლება, პოლიტიკური მონაწილეობის შესაძლებლობების გაძლიერება
„ორდუ“	განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა
„გადავარჩინოთ მომავალი თაობა“	აფხაზეთში მცხოვრები დევნილი მოსახლეობისთვის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში ხელშეწყობა ადამიანების უფლებების დაცვა
„ჰანგი“	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობა შშმპ ბავშვთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია
„თანაზიარი“	იგპ და სხვა სოციალურად დაუცველი პირების უფლებების დაცვა განათლების, ჯანდაცვისა და დასაქმების ხელმისაწვდომობა
„იმედი“	ქალთა უფლებების დაცვა იგპ და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია
ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია - დეა	შშმ ქალთა და ბავშვთა და შშმ ბავშვთა დედების უფლებების დაცვა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა და გენდერული პრობლემები სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საზოგადოებრივი (თემის) განვითარება ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია სოციალურად დაუცველთა დახმარება ქველმოქმედება

„ათინათი“	საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია საინფორმაციო პროგრამები (რადიო-გადაცემები)
„მნათობი”	საგანმანათლებლო პროგრამები
„ქსენონი”	სამედიცინო რეაბილიტაციის პროგრამები
„გაენათი”	სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამები ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია დევნილთა დახმარება
სამართლებრივი დაცვის ინსტიტუტი	ადამიანის უფლებების დაცვა
ნერგები	დევნილ და ადგილობრივ ინვალიდ ბავშვთა და მოზარდთა სოციალური უფლებების დაცვა, მათი ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია და საზოგადოებასთან ადაპტაცია მათი სწავლება ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ და ზრუნვა მათი ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა ინვალიდ ბავშვთა სულიერი და ფიზიკური განვითარებისათვის
დამოუკიდებელი მედია ცენტრი	რეგიონული მედიის განვითარების ხელშეწყობა, თანამედროვე კომუნიკაციის დანერგვა, ჟურნალისტების კვალიფიკაციის ამაღლება
სამართლებრივი დაცვის ინსტიტუტი	სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების, სამართლებრივი სახელმწიფოსა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობა, საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების გაზრდა, ადამიანის (მათ შორის სოციალურად დაუცველი პირების, დევნილების, ლტოლვილებისა და სხვათა) უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, ეფექტური სახელმწიფო მმართველობის განხორციელების ხელშეწყობა, იურიდიული განათლებისა და პროფესიული უნარ–ჩვევების განვითარება
მედიის და საზოგადოების სახლი	თავისუფალი მედიის მხარდაჭერა და განვითარება, ჟურნალისტთა უფლებების დაცვა, მედიის მონიტორინგი, საზოგადოებრივი აზრის კვლევა, ადამიანების უფლებების დარღვევის გამოვლენა, ტრენინგ–სემინარი ჟურნალისტებისათვის, არჩევნების მონიტორინგი, იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვა და მონიტორინგი, საგამომცემლო საქმიანობა, საუკეთესო მედია ორგანიზაციების და ჟურნალისტების გამოვლენა – კონკურსის სახით, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა, ბიუჯეტის მონიტორინგი

ზუგდიდის მესაკუთრეთა და ფერმერთა რეგიონული კავშირი	რეფორმების გატარება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა • თემის მობილიზება და თემში არსებული ბუნებრივი რესურსების შესწავლა • მიწის მესაკუთრეებსა და ფერმერებში ევროპული სტანდარტების დამკვიდრება • ფერმერთა მომზადება და სტაჟირება • ტექნიკური სერვის–მომსახურების ცენტრის შექმნა • რეგიონის სოფლებში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ხელშეწყობა • სპორტულ–გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარება • საინფორმაციო/სასწავლო/საკონსულტაციო და ტრენინგ ცენტრის შექმნა • საგამომცემლო საქმიანობა
ფონდი „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი“ (ზუგდიდის ფილიალი)	• სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამართლებრივი გარემოს შექმნა • ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა • დასაქმების დონის ამაღლება და სიღარიბის დაძლევა
იძულებით გადაადგილებულ პირთა სამოქალაქო განვითარების ცენტრი	კონფლიქტის დარეგულირების მშვიდობიანი მოგვარება

2.1.6. ადგილობრივი მედია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მედია საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი ადგილობრივი ტელეკომპანია („ოდიში“ ტრანსლირებს რეგიონის მასშტაბით) და 6 ბეჭდვითი მედია, რომელთა გავრცელების არეალი ცდება მუნიციპალიტეტის საზღვრებს. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამ გაზეთის პერიოდულობა მხოლოდ პირობითია, ფინანსური პრობლემების გამო გამოდის დიდი შეფერხებებით. მაგალითად, გაზეთი ,,სამეგრელოს ქრონიკა'' ნახევარი წელია (ივლისიდან) არ გამოცემულა, დანარჩენი გაზეთები კი სტაბილურად გამოდის მხოლოდ გარკვეულ პერიოდებში, თუმცა ხშირია ერთკვირიანი, ზოგჯერ ორკვირიანი და უფრო ხანგრძლივი იძულებითი პაუზებიც.

ცხრილი №3: ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოქმედი ადგილობრივი მედია

დასახელება	პერიოდულობა	გავრცელების არეალი	ფორმატი
რეგიონალური გაზეთი ,,ეგრისის მაცნე”	კვირაში ერთხელ	სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი	8 გვ.
რეგიონალური ჟურნალი ,,ეგრისი” და ,,ეგრისი 12-მდე”		სამეგრელო-ზემო სვანეთი	
გაზეთი ,,ზუგდიდი”		ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	8 გვ.
რეგიონალური გაზეთი ,,კოლხური ვერსია”	თვეში სამჯერ	დასავლეთ საქართველო	8 გვ.
ცენტრალური გაზეთი ,,აფხაზეთი”	გამოდის თვეში ერთხელ გაზეთ ,,კოლხური ვერსიის: ჩანართის სახით	დასავლეთ საქართველო	4 გვ.
რადიო ,,ათინათი”		დასავლეთ საქართველო	
ტელერადიოკომპანია ,,ოდიში”		დასავლეთ საქართველო	

2.2 გეოგრაფიული მდებარეობა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორია დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში (ფართობი – 682.1 კვ.კმ.), ჩრდილოეთ განედის 42 30’00” და აღმოსავლეთ გრძედის 41 51’00” მდებარეობს. მისი საზღვრები გაუყვება შავი ზღვის სანაპიროს (განმუხური, ანაკლია), ჩრდილო-დასავლეთით აფხაზეთის ადმინისტრაციული ზოლი (გალის რაიონი), ჩრდილო აღმოსავლეთით წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორია ესაზღვრება. ქალაქი ზუგდიდი როგორც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, ასევე სამეგრელო – ზემო სვანეთის რეგიონის ცენტრია. გაშენებულია ოდიშის დაბლობზე, მდინარე ჩხოუშის ნაპირას, ზღვის დონიდან 110 მ. სიმაღლეზე. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის არის 339 კმ. უახლოესი პორტი ქალაქი ფოთი - 70კმ.-ში მდებარეობს. უახლოესი აეროპორტი-ქუთაისი, კოპიტნარი კი - 90კმ.-ში.

ზუგდიდის ჰავა ნოტიო-სუბტროპიკულია. ზაფხული ცხელია +27,7, ზამთარი თბილი იცის (+4,9). ჰაერის საშუალო ტემპერატურაა +23,8, ნალექების წლიური რაოდენობა 1650 მილიმეტრს აღწევს, ჰაერის საშუალო წლიური სინოტივეა 72%. მზიან დღეთა რიცხვი 210-ს შეადგენს. ხშირია უთოვლო ზამთარი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კლიმატურ - ნიადაგობრივ პირობებს კარგად ეგუება როგორც სუბტროპიკული, ასევე კონტინენტური მცენარეების სხვადასხვა სახეები. როგორც ედემური, ასევე შემოტანილი კულტურები რაც ქმნის იმის უტყუარ შესაძლებლობას, რომ სოფლის მოსახლეობამ ადგილზე აწარმოოს ეკოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტები.

ზუგდიდიდან შავი ზღვა დაშორებულია 28-30 კმ. და სოფლების - ანაკლიისა და განმუხურის ტერიტორიების ზღვისპირი ითვლება ლამაზ საკურორტო, დასასვენებელ ზოლად.

ქალაქის ტერიტორიაზე მოედინება მდინარეები: ჩხოუშია, კუჩხობონი, სინწა, ხოლო მუნიციპალიტეტის დასავლეთით დაუდეგარი და ბობოქარი ენგური, რომელიც მდიდარია ჰიდროენერგეტიკული რესურსებით.

SWOT ანალიზი

გეოგრაფიული მდებარეობა	
S - ძლიერი მხარეები	**W - სუსტი მხარეები**
სტრატეგიული ადგილმდებარეობა (რეგიონალური ცენტრი) ნოტიო სუბტროპიკული ჰავა	სოფლების გარკვეული ნაწილის დაშორება მუნიციპალურ ცენტრთან
O - შესაძლებლობები	**T - საფრთხეები**
მუნიციპალიტეტის ადგილმდებარეობა, კლიმატური პირობები და მდიდარი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა საშუალებას იძლევა განვითარდეს სხვადასხვა სექტორები	მუნიციპალიტეტი ახლოს იმყოფება კონფლიქტის ზონასთან, რაც რეალურ გარეგან საფრთხეს წარმოადგენს მისი განვითარებისთვის

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რუკა



წყარო: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდი. www.zugdidi-sakrebulo.ge

2.3. ბუნებრივი რესურსები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი მდიდარია ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობის მქონე ბუნებრივი რესურსებით.

ჰიდრო რესურსები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი წყლის რესურსების სიუხვით გამოირჩევა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლად არის მდინარეები, ჭაობები, და წყაროები, რომლებიც უხსოვარი დროიდან მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო და სამიმოსვლო ურთიერთობაში. მიწისქვეშა წყლების მოცულობა მუნიციპალიტეტის წყლის რესურსების საერთო მარაგის 25%-ს შეადგენს. დიდი მდინარეებიდან გამოსარჩევია ენგური და ჯუმი. სულ კი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 5 წყლის ძირითადი არტერია მიედინება. მთიანი ზონის რელიეფის ძლიერი დახრილობის და ნალექების დიდი რაოდენობის გამო მდინარეები წარმოადგენენ ელექტროენერგიის მდიდარ წყაროს.

წყლის ძირითადი არტერიები

№	მდინარეთა დასახელება	მდინარის სათავე	მდინარის სიგრძე (კმ.)	მდინარის აუზის ფართობი ($კმ^2$)
1.	ენგური	მესტიის მუნიციპალიტეტი	221	3032 კმ2
2.	ჩხოუში	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	56	248 კმ2
3.	ჯუმი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	61	379 კმ2
4.	კუჩხობონი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	13	55 კმ2
5.	სინწა	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	11	49 $კმ^2$

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს თერმული წყლების საბადოები. ყველაზე მძლავრი, დეტალურად დაძიებული და საექსპლუატაციოდ მომზადებული არის ზუგდიდი-ცაიშის თერმული წყლის საბადო. დღეისათვის საბადოს საექსპლუატაციო მარაგები შეფასებულია 14300$მ^3$ ოდენობით დღე-ღამეში, 800-1000^{0}C ტემპერატურით.

სამშენებლო მასალები და მინერალური რესურსები

- **სააგურე თიხა** - მოიპოვება სოფ. ოდიშის ტერიტორიაზე, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კერამიკული აგურისა და ბლოკის (სხვადასხვა ზომის) წარმოებაში;
- **ტორფი** - მოიპოვება სოფ. ანაკლიასა და ჭურიაში, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს თბოენერგეტიკის გარდა, სოფლის მეურნეობასა და ქიმიურ მრეწველობაში;
- **ინერტული მასალა** - ქვიშა და ხრეში, რომელიც რეალიზდება სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოებისათვის;
- **საკირე კირქვების საბადო და ბარიტეს საბადო** - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს აღნიშნული წიაღისეულის საბადოები, თუმცა მარაგების რაოდენობა არ არის შეფასებული.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა რეგიონში არსებობს მიწისქვეშა მტკნარი სასმელი, სამკურნალო წყლებისა და სამკურნალო მინერალების მარაგი.

ფლორა და ფაუნა

მუნიციპალიტეტის დაბლობისა და მთისწინეთის ტყეების მცენარეულობის ძირითადი ტიპებია ტყეები, წყლისა და ჭაობის მცენარეულობა. უდიდეს ნაწილზე ტყის მცენარეულობა მეორადი ტიპების – გამეჩხერებული ტყეებისა და ბუჩქნარების სახით არის წარმოდგენილი, დაბლობისა და მთისწინეთის რაიონებში ტყის ძირითადი ფორმაციებია – მურყნარები, მუხნარები, ჯაგრცხილნარი, რცხილნარები, წაბლნარები და წიფლნარები. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორია ცხოველთა სამყაროს ბიო-გეოგრაფიული არეალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და ცხოველთა სამყაროს სიმდიდრითა და ნაირგვარობით გამოირჩევა, ასევე აქ რეგისტრირებულია 225-ზე მეტი სახეობის ფრინველი, რომელთა შორის დიდია მიგრანტების რიცხვი. მუნიციპალიტეტის მდიდარი ფლორა და ფაუნა იძლევა სამონადირეო და სარეწაო კომპლექსების მოწყობის შესაძლებლობას.

SWOT ანალიზი

ბუნებრივი რესურსები	
S - ძლიერი მხარეები	**W - სუსტი მხარეები**
ჰიდრო რესურსების სიუხვე ბუნებრივ–რესურსული წიაღისეულის მრავალფეროვნება მდიდარი და მრავალფეროვანი ფლორა და ფაუნა	სანედლეულო პოტენციალის მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენების ხელის შემშლელი ფაქტორები: მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა არაეფექტური მენეჯმენტი
O - შესაძლებლობები	**T - საფრთხეები**
სამშენებლო ბაზრის განვითარება, რაც გაზრდის სამშენებლო მასალებზე მოთხოვნას სამონადირეო და სარეწაო მეურნეობების განვითარება	სანედლეულო–რესურსული წიაღისეულის ამოწურვა ბაზარზე არსებული რესურსების მიმართ მოთხოვნის შემცირება

2.4. ადამიანური რესურსები და სოციალური კაპიტალი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა 2010 წლის 1 იანვრისთვის სულ შეადგენდა **165 674-ს,** მათ შორის ქალაქად ცხოვრობს - 68 894 (მთლიანი მოსახლეობის 41,6%), ხოლო სოფლად - 96 780 (ე.ი. 68.4%). მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება – დასახლებულობა უშუალოდ დაკავშირებულია მისი მიწების სამეურნეო ათვისების პირობებსა და შესაძლებლობებთან, ამავე დროს საკუთრივ ქალაქ ზუგდიდის, როგორც შემკრები ცენტრის მზარდ განვითარებასთან. აღსანიშნავია, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი დევნილი მოსახლეობის კომპაქტური ჩასახლების მხრივ ყველაზე დიდი ცენტრია თბილისის შემდეგ, მათი რიცხვი მთლიანად მუნიციპალიტეტში შეადგენს 43 453-ს. ამასთან მოსახლეობის სიმჭიდროვის მხრივ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი სამეგრელოში ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა (1/01-2010 წ. მონაცემებით – 239 კაცი (1 კვ. კმ.)). 2002 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო

აღწერის მიხედვით, მოსახლეობის 98,2%-ს ქართველები წარმოადგენდნენ, 0,9%-ს რუსები, 0,1%-ს - აფხაზები, 0,1%-ს უკრაინელები, ხოლო დანარჩენ 0,1%-ს - სხვა ეთნიკური მოსახლეობა.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სულ 31 ტერიტორიულ ორგანოშია თავმოყრილი, რომლის მიხედვითაც 2010 წელს ჩატარდა მაჟორიტარული არჩევნები. აღნიშნულ ტერიტორიულ ორგანოებში გაერთიანებულია 58 სოფელი. ყველაზე დიდ ტერიტორიულ ორგანოს ქალაქი ზუგდიდი წარმოადგენს. (იხ. ცხრილი №4).

ცხრილი №4. მოსახლეობის რაოდენობა ტერიტორიული ორგანოებისა და სოფლების მიხედვით 2010 წ. 1 იანვრის მდგომარეობით

№	ტერიტორიული ერთეული	სოფლის დასახელება	მოსახლეობა, კაცი
1	აბასთუმნის თემი	აბასთუმანი	1212
		ხეცერა	325
		მენჯი	149
2	ანაკლიის თემი	ანაკლია	2518
		თიქორი	98
3	სოფ. ახალაბასთუმანი	ახალაბასთუმანი	3608
4	სოფ. ახალკახათი	ახალკახათი	1861
5	ახალსოფლის თემი	ახალსოფელი	1550
		ოფაჩხაფუ	896
		უჩაშონა	670
		ჯუმი	1748
6	სოფ. განმუხური	განმუხური	2614
7	სოფ. გრიგოლიში	გრიგოლიში	731
8	დარჩელის თემი	დარჩელი	3536
		კიროვი	2834
9	დიდინეძის თემი	დიდინეძი	582
		დიდინეძის კახათი	540
		დიხაგუძუბა	427
10	ერგეტის თემი	ერგეტა	1051
		ცვანე	411
11	ინგირის თემი	ინგირი	5490
		ოირემე	1286
12	სოფ. კახათი	კახათი	5923
13	კოკის თემი	კოკი	2332
		ხურჩა	436
14	კორცხელის თემი	კორცხელი	1361
		ნაცატუ	733

		ბაში	623
15	ნარაზენის თემი	ნარაზენი	2886
		საბეჭვაიო	365
		შამადელა	579
16	ოდიშის თემი	ოდიში	1988
		საჭურღულიო	357
		ჩხოუში	1316
17	სოფ. ორსანტია	ორსანტია	4095
18	ორულულუს თემი	ორლულუ	1078
		მოგირი	403
		ნაჭკადუ	296
19	ოქტომბერის თემი	ოქტომბერი	1705
		დავითიანი	738
20	სოფ. ყულიშკარი	ყულიშკარი	2008
21	სოფ. რიყე	რიყე	3191
22	რუხის თემი	რუხი	5872
		ნაწულუკუ	1128
23	სოფ. ურთა	ურთა	1002
24	სოფ. შამგონა	შამგონა	2611
25	ჩხორიას თემი	ჩხორია	1607
		ზედაეწერი	2753
		ტყაია	1260
26	ცაიშის თემი	ცაიში	2088
		ჩხოუში	458
		ცაცხვი	1112
27	ჭაქვინჯის თემი	ჭაქვინჯი	1471
		ბაღმარანი	229
28	სოფ. ჭკადუაში	ჭკადუაში	1936
29	სოფ. ჭითაწყარი	ჭითაწყარი	4256
30	ჯიხაშკარის თემი	ჯიხაშკარი	2268
		ფალაზონი	90
31	ქ. ზუგდიდი	ქალაქი	68894
		სულ	**165674**

წყარო: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პასპორტი.

2.5. ინფრასტრუქტურა

2.5.1. სოციალური ინფრასტრუქტურა

სოციალური ინფრასტრუქტურა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საშუალოდ არის განვითარებული. ინფრასტრუქტურის განვითარებაზე თავისებურ გავლენას ახდენს რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრის სტატუსი. ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგეს ადგილობრივი საჯარო ფინანსების სიმწირე, რომელიც სოციალური ინფრასტრუქტურის სწრაფად განვითარების საშუალებას არ იძლევა.

სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები

2010 წლის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 59 სკოლა ფუნქციონირებს, მათ შორის 50 საჯარო, 1 საბაზო და 8 კერძო სკოლა. სკოლამდელი დაწესებულებების (საბავშვო ბაღები) რაოდენობა შეადგენს 56-ს, მათ შორის 9 კერძო ბაგა-ბაღია. ზუგდიდში მდებარეობს ასევე 2 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტი). მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასევე ფუნქციონირებს უდედმამო და ინვალიდ ბავშვთა პანსიონატი (სოფ. ახ. აბასთუმანი) და მიუსაფარ ბავშვთა სკოლა - პანსიონატი (ქ. ზუგდიდი).

კულტურისა და დასვენების ობიექტები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ქ. ზუგდიდი) ფუნქციონირებს კულტურისა და დასვენების შემდეგი ობიექტები:

1.	მუსიკალურ–ქორეოგრაფიული ცენტრი ,,ოდიში”
2.	№1 სამუსიკო სკოლა
3.	მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე
4.	№2 სამუსიკო სკოლა
5.	საგუნდო-სამუსიკო სკოლა
6.	სამხატვრო სკოლა
7.	სამხატვრო გალერეა
8.	ცენტრალური ბიბლიოთეკა
9.	სამოყვარულო თეატრი ,,ჩხორია”
10.	სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ჩელა“
11.	ფოლკლორული ანსამბლი „ოდოია“
12.	ბავშთვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი
13.	ქორეოგრაფიული ანსამბლი კოლხა
14.	შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
15.	კინო-თეატრი „ატრიუმი“

კულტურული ძეგლები

	ძეგლის ადგილმდებარეობა	ძეგლის დასახელება	ძეგლის აშენების სავარაუდო დრო
1	სოფ. ცაიში	ცაიშის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი	განვითარებული შუა საუკუნეები
2	სოფ. კორცხელი	კორცხელის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარი	XI საუკუნე
3	ქ. ზუგდიდი	ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ტაძარი	XIX საუკუნის შუა ხანები
4	ქ. ზუგდიდი	მაცხოვრისკარის ეკლესია	შუა საუკუნეები
5	ქ. ზუგდიდი	დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი	XIX საუკუნე
6	სოფ. კორცხელი	ჩიჟისკარის ციხე-სიმაგრე	შუა საუკუნეები
7	სოფ. რუხი	რუხის ციხე	XVII საუკუნე
8	სოფ. ანაკლია	ანაკლიის ციხე	შუა საუკუნეები
9	სოფ. ჭკადუაში	პრინც მიურატის სასახლე	XIX საუკუნე
10	სოფ. ცაიში	ცაიშის სამაროვანი	ძვ.წ. X-XI სს.
11	სოფ. ერგეტა	ერგეტის 4 სამაროვანი	ბრინჯაოს ხანა

მუზეუმები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ექვსი მუზეუმი მდებარეობს:

ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ–არქიტექტურული მუზეუმი
იონა მეუნარგიას სახლ–მუზეუმი სოფ. ცაიში
ალექსანდრე საჯაიას სახლ–მუზეუმი სოფ. ოდიში
სერგი ცაისვილის სახლ–მუზეუმი სოფ. ცაიში
კონდრატე თათარიშვილის სახლ–მუზეუმი სოფ. აბასთუმანში
ვანიონ დარასელიას სახლ–მუზეუმი სოფ. კახათში

სკვერები და პარკები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სულ 15 სკვერი და პარკია, ესენია:

1. ბოტანიკური ბაღი - 50000 მ²
2. ქალაქის ცენტრალური ბულვარი - 13050 მ²
3. ზ. გამსახურდიას გამზირის გასწვრივ მდებარე გაზონები - 2900 მ²
4. რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე გაზონები - 250 მ²
5. მუზეუმის მიმდებარე ტერიტორია - 5500 მ²
6. ჭავჭავაძის სახელობის სკვერი - 600 მ²
7. სამაიას სკვერი - 600 მ²
8. 9 აპრილის სახელობის სკვერი - 320 მ²
9. შალვა დადიანის სახელობის თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სკვერი - 2500 მ²

10. გ. გულუას სახელობის სკვერი - 880 მ²
11. ა. წერეთლის ქუჩაზე მდებარე სკვერი - 750 მ²
12. სკვერი ,,სიჭაბუკე" - 1200 მ²
13. ი. მეუნარგიას სახელობის სკვერი - 280 მ²
14. სამხარეო ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სკვერი - 1200 მ²
15. შალვა დადიანის სახელობის თეატრის წინამდებარე ტერიტორიაზე არსებული სკვერი-2200 მ²

2.5.2. ტექნიკური ინფრასტრუქტურა

საავტომობილო გზები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სულ 591 კმ. საავტომობილო გზა არის რეგისტრირებული, საიდანაც შავი საფარის (ასფალტიანი) არის 351 კმ, ხოლო ხრეშოვანი - 240 კმ. როგორც ვხედავთ, გზების მნიშვნელოვანი ნაწილი (40,6%) მოხრეშილია და საჭიროებს შავ საფარს. აღსანიშნავია, რომ შიდა გზების მდგომარეობა წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა. ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით შეკეთდა სოფლის შიდა გზები, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა ინგირი-ოქტომბერი-კახათის და კახათი-კოკი-ორსანტიის საავტომობილო გზების მოასფალტება, ასევე განხორციელდა ქალაქის ქუჩების მოასფალტება, ეს პროცესი ამჟამადაც მიმდინარეობს. ბოლო სამი წლის განმავლობაში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გზების რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 15 686 472 ლარი.

საავტომობილო გზების სიგრძე კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

1. საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზები – 25 კმ. მ.შ. ასფალტობეტონის – 25 კმ.
2. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზა – 120 კმ. მ.შ. ასფალტობეტონის – 120 კმ.
3. ადგილობრივი მნიშვნელობის გზა (გარდა ქალაქში არსებული გზებისა) – 276 კმ. მ.შ. ასფალტობეტონის 115 კმ. ხრეშოვანი 161 კმ.

რაც შეეხება ქალაქის შიდა გზების მდგომარეობას, სულ ზუგდიდში შიდა გზებისა და ქუჩების სიგრძე შეადგენს 170 კმ.-ს, მათ შორის: ასფალტირებულია – 91 კმ. ხრეშოვანი – 79 კმ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს დაახლოებით 80-მდე საცალფეხო და საავტომობილო ხიდი, რომლის საერთო სიგრძე შეადგენს დაახლოებით 1600 მეტრს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალური მნიშვნელობის გზების და ხიდების მშენებლობას ახორციელებს ოთხი ძირითადი სამშენებლო ორგანიზაცია (იხ. ცხრილი №5).

ცხრილი №5. სამშენებლო ორგანიზაციები

	ორგანიზაციის დასახელება	საქმიანობის პროფილი	სიმძლავრის მლნ. ლარი	აღჭურვილობის დონე (მანქანა–დანადგარები)
1	შპს ,,თავადი I”	გზების რეაბილიტაცია	3.0	12
2	შპს ,,საგზაო”	გზების რეაბილიტაცია	2.2	17
3	შპს ,,სანი”	გზების რეაბილიტაცია, მშენებლობა	35	28
4	შპს ,,ზუგდიდკოლხეთმშენი”	ნაპირსამაგრი ნაგებობებისა და ხიდების მშენებლობა	0.5	7

წყარო: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პასპორტი.

დასუფთავება და ნაგავსაყრელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტს ამჟამად სოფელ ჭითაწყარის ტერიტორიაზე გააჩნია მოქმედი ნაგავსაყრელი, რომლის ფართი შეადგენს 6 ჰა-ს. იგი მდებარეობს ქალაქის ცენტრიდან 10 კილომეტრში, ხოლო უახლოესი დასახლებული პუნქტიდან 2კმ.-ს დაშორებით. ნაგავსაყრელში ყოველწლიურად შეიტანება 40-45 ათასამდე კუბური მეტრი მყარი საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენი.

ამჟამად მოქმედი ნაგავსაყრელი პოლიგონი თითქმის გადავსებულია. ვინაიდან გრუნტის წყლების არსებობის და ნიადაგის სპეციფიკურობის გამო ვერ ხერხდება შეზიდული ნარჩენების კომპოსტირება-დამარხვა, ნაგავსაყრელის ეკოლოგიური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ამჟამად მოქმედი ნაგავსაყრელი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

მიმდინარეობს ახალი ნაგავსაყრელი კომპლექსის მშენებლობა სოფელ ცაცხვის ადრე არსებული ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე. ნაგავსაყრელის ფართი განსაზღვრულია 10 ჰექტარამდე, სადაც დაგეგმილია გადამუშავების და რეციკლირების ობიექტების ამოქმედება. შეძენილ იქნება სათანადო ტექნიკა როგორც გაზრდილი რაოდენობის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაზიდვისათვის, ასევე მისი ადგილზე გადამუშავებისათვის.

საბინაო ფონდი

მუნიციპალიტეტში 2 ტიპის საცხოვრებელი სახლებია: მრავალბინიანი, ერთბინიანი. ამ სახლების უმეტესი ნაწილი კერძო საკუთრებაშია, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბინების პრივატიზაცია მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებული შესაბამისი კომისიის მიერ.

ქალაქ ზუგდიდში არსებული 96 სახლიდან უდიდესი ნაწილი კეთილმოწყობილია. არსებული შენობებიდან: 21.8% 30-წლამდე ასაკისაა, 54.1% 50-წლამდე ასაკის, ხოლო 23.9% 50-წელს ზევით. ქალაქის მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში 24 026 ბინაა საცხოვრებელი ფართით 78 975მ^2. აქედან 92.3% კეთილმოწყობილია შესაბამისად 7.6% კეთილმოუწყობელი. ქალაქში განთავსებულ მრავალბინიან სახლებში ცხოვრობს 2390 ოჯხი - 6110 სული.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგება ხორციელდებოდა სამი სისტემით:

1. ჭაბურღილები;
2. ინდივიდუალური ჭებით;
3. სისტემგარეშე არსებული სოფლის წყალსადენები.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის წყალმომარაგების შიდა ქსელის სიგრძე შეადგენს 120 კილომეტრს, რომელიც 1993 წლიდან არ ფუნქციონირებს. მოსახლეობის 60% არ არის მიერთებული წყალმომარაგების ქსელთან და მათი წყალმომარაგების წყაროს წარმოადგენს 4015 მოქმედი არტეზიული ჭა.

საკანალიზაციო სისტემა

ქ. ზუგდიდის საკანალიზაციო სისტემის ქსელის საერთო სიგრძე შეადგენს 65კმ.-ს. საკანალიზაციო სისტემაში წლიურად ჩაედინება 3000 ათასი მ^3 ნახმარი წყალი. საკანალიზაციო სისტემა ვერ უზრუნველყოფს ქალაქის სრულ მომსახურებას (მთლიანი მოსახლეობის 42% არაა მიერთებული კანალიზაციის ქსელთან), საჭიროებს ქსელის განახლებას და გაფართოებას. აღნიშნულ სისტემას არ გააჩნია გამწმენდი ნაგებობა.

სამედიცინო-ამბულატორიული დაწესებულებები

2010 წლის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 21 სამედიცინო-ამბულატორიული დაწესებულება. აღსანიშნავია ქ. ზუგდიდში რესპუბლიკური სამედიცინო კომპლექსის ბაზაზე ჩამოყალიბებული წმ. ლუკას სახელობის ,,ზუგდიდის სამედიცინო ცენტრი", რომელიც სრულიად აკმაყოფილებს თანამედროვე ევრო სტანდარტებს. ამავე კომპლექსის ბაზაზე ფუნქციონირებს სისხლის გადასხმის ცენტრი. მოქმედი სამედიცინო-ამბულატორიული დაწესებულებებია:

სს წმინდა ლუკას სახ. სამედიცინო ცენტრი - გამსახურდიას 206
სს ცენტრალური საავადმყოფო - კოსტავას 30

სს სამედიცინო კომპლექსი ,,ენგური" - ხელაიას 3
შპს ზუგდიდის რეგიონული ტუბსაწინააღმდეგო საავამყოფო - პარიზის კომუნის 12
შპს ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო – სოფ. ონარია
შპს დარჩელის ზონალური საავადმყოფო
შპს ამბულატ/პოლიკ. გაერთიანება - კოსტავას ქ. 28
შპს. მოზრდილთა პოლიკლინიკა - კოსტავას ქ. 1
შპს ფსიქო-ნევროლოგიური დისპანსერი - სტალინის ქ. 5
შპს ზუგდიდის ბავშვთა პოლიკლინიკა – კოსტავას ქ. 5
შპს სტომატოლოგიური პოლიკლინიკა - დ. აღმაშენებლის ქ. 24
შპს ქალთა კონსულტაცია
შპს. კანისა და ვენერიულ დაავადებათა საწინააღმდეგო დისპანსერი – გამსახურდიას ქ. 208
შპს სასწრაფო სამედ. დახმარების სადგური - 03 - გამსახურდიას ქ. 206
შპს სპორტული მედიცინა და რეაბილიტაციის ცენტრი – კედიას ქ. 15
ა.ა.ი.პ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი - გამსახურდიას ქ. 206
შპს ,, კურაციო- ზ,, - ზვ. გამსახურდიას ქ. 39
შპს სამედიცინო სადიაგნოსტიკო ცენტრი - ექკ. ჯანაშიას ქ. 5
შპს კარდიოლოგიური კლინიკა ,,გული"-ზუგდიდი - გამსახურდიას ქ.
სს ღვამიჩავას სახ. საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხ. ფილიალი - გამსახურდიას ქ. 206
შპს ,,ტერმინალი" - ამბულატორია ,,სანუსი" - ც.დადიანის ქ. 1
აა.ი.პ. ლუარა გერგაიას სახ. ამბულ/პოლიკ. ცენტრი ,,პედიატრი" - ზვ. გამსახურდიას ქ. 36

SWOT ანალიზი

ინფრასტრუქტურა	
S - ძლიერი მხარეები	**W - სუსტი მხარეები**
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს საერთაშორისო და სახელმწიფო მნიშვნელობის გზების გარკვეული მონაკვეთი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანად დაფარულია ფიჭური კავშირგაბმულობით მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა სამედიცინო დაწესებულებების სიმრავლე	ადგილობრივი გზების და ხიდების უმეტესობა არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს მოძველებული და გაუმართავი წყალმომარაგების სისტემა მოუწესრიგებელი საკანალიზაციო სისტემა მოწესრიგებელი ნაგავსაყრელი
O - შესაძლებლობები	**T - საფრთხეები**
ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და ხიდების რეაბილიტაცია წყალმომარაგების სისტემის გამართვა საკანალიზაციო სისტემის გამართვა სტანდარტების შესაბამისი ნაგავსაყრელის მოწყობა	კონფლიქტის ზონასთან სიახლოვე, რაც ასევე საფრთხეს უქმნის ინფრასტრუქტურის შენარჩუნებასა და განვითარებას

2.6. დარგობრივი ეკონომიკა

2.6.1. მთლიანი შიდა პროდუქტი

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით: სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, ვაჭრობა, სასტუმრო და რესტორანი, სხვა დარგები. მუნიციპალიტეტის დარგობრივ სტრუქტურაში 2009 წელს ყველაზე დიდი წილი 25% მშენებლობას ეჭირა, სოფლის მეურნეობას 23%-ი (იხ. დიაგრამა №1). აღსანიშნავია, რომ დარგობრივ ეკონომიკაში 7%-ით არის წარმოდგენილი სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურება.

დიაგრამა №1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა



წყარო: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პასპორტი.

ძირითადი მაპროფილებელი პროდუქციის სახეები: – თხილი, ხორბლის ფქვილი, ინერტული მასალა, ჩაი, პური და ფუნთუშეული. მთლიანი მუნიციპალური პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენს 1845 ლარს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სულ 17 მოქმედი მცირე საწარმოა წარმოდგენილი, სადაც დასაქმებულია 527-ზე ოდნავ მეტი ადამიანი. 2009 წლის მდგომარეობით აღნიშნული საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის საერთო ღირებულებამ შეადგინა 26,6 მილიონი ლარი. საწარმოთაგან ზოგიერთი დროებით გაჩერებულია ან სეზონურად მუშაობს. უმთავრეს პრობლემას დანადგარების სიძველე და ინვესტიციების სიმწირე წარმოადგენს.

SWOT ანალიზი

მრეწველობა	
S - ძლიერი მხარეები	**W - სუსტი მხარეები**
იაფი სამუშაო ძალა სამრეწველო დარგების მრავალფეროვნება რეგიონალური ცენტრი მიწის რესურსების სიიაფე და მრავალფეროვნება	დაბალი საინვესტიციო აქტივობა საბანკო კრედიტების მაღალი პროცენტი არალიბერალური საგადასახადო ადმი-ნისტრირების მექანიზმები
O - შესაძლებლობები	**T - საფრთხეები**
ადგილობრივი მრეწველობის სუბსიდირება მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა ლიბერალური საგადასახადო კანონმდებლობის შექმნა რეალური, მოქნილი ბიზნესგეგმების შექმნა ეფექტური მენეჯმენტის განხორციელება და ა.შ.	საგადასახადო ტვირთის უფრო მეტად ზრდა საშიშროება იმისა, რომ მრეწველებმა ინვესტიციები ვერ მოიზიდონ მოსახლეობის შემოსავლების შემცირება აგრესია და კონფლიქტი რუსეთის მხრიდან

2.6.2 სოფლის მეურნეობა

აგროკლიმატური პირობები მეტად ხელსაყრელია მრავალდარგოვანი და მაღალრენტაბელური სასოფლო-სამეურნეო წარმოების შექმნისათვის, განსაკუთრებით კი ისეთი დარგების განვითარებისათვის, როგორიცაა მეთხილეობა, მესიმინდეობა, მეჩაიეობა, სუბტროპიკული კულტურების წარმოება (ციტრუსები, დაფნა, ფეიხოა და სხვ.), ხეხილის, ერთწლიანი მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების წარმოება.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მთლიანი მოცულობა შეადგენს 36316 ჰა-ს. მათ შორის:

- სახნავი - 13110 ჰა,
- მრავალწლიანი ნარგავები - 7419 ჰა,
- საძოვარი - 6271 ჰა.

2009 წლის მონაცემებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოყვანილ იქნა 1.2 ათასი ტონა მანდარინი, 25 ტონა - ფორთოხალი, 50 ტონა - ლიმონი; თხილი - 9400 ტონა; დაფნა - 625 ტონა; კივი – 350 ტონა; სიმინდი – 30 000 ტონა; ჩაი – 300 ტონა.

სოფლის მეურნეობის ძირითადი საექსპორტო პროდუქტებია თხილი, ციტრუსების და კივის ნაყოფი. განსაკუთრებით გაიზარდა თხილის წარმოება, რომელზედაც საექსპორტო მოთხოვნილება ყოველწლიურად იზრდება.
ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს რამდენიმე თხილის გადამამუშავებელი ქარხანა, რომლებსაც დამზადებული პროდუქცია გააქვთ ექსპორტზე. არასრული დატვირთვით მუშაობს ჩაის გადამამუშავებელი საწარმოები. აღსანიშნავია, რომ სწორედ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში იწარმოება ქართული ჩაი „გურიელი“ (სოფ. რუხი), რომლის პროდუქციაც ასევე გადის ექსპორტზე.

სამწუხაროდ არ ფუნქციონირებს საკონსერვო და წვენის ქარხნები, რომლებიც ადრე ამუშავებდა ადგილობრივ ნედლეულს, შესაბამისად დიდი იყო დასაქმებულთა რაოდენობაც.

გამომდინარე იქიდან, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილი აგროსაწარმოები არაა განლაგებული, შესაბამისად ფერმერული მეურნეობებიც ძირითადად ინდივიდუალურ და მცირემასშტაბიან ხასიათს ატარებს. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის მომსახურე აგროცენტრები, ასევე სერვისცენტრები და მათი აღჭურვის დონე. ამ მხრივ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მხოლოდ სამი მომსახურე სერვისცენტრია (იხ. ცხრილი №6), რომლებიც ძირითადად ემსახურებიან ერთწლიანი კულტურების ხვნა-თესვას და მოსავლის აღებას.

ცხრილი №6. სოფლის მეურნეობის მომსახურე სერვისცენტრების რაოდენობა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა

	ცენტრის დასახელება	საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი)	შესრულებული სამუშაოს მოცულობა, (ათასი ლარი)
1	ამხანაგობა ,,ჯიხა”	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დამუშავება	4725
2	ამხანაგობა ,,ჩელა”	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დამუშავება	6580
3	ამხანაგობა ,,ენგური”	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დამუშავება	5075

წყარო:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პასპორტი.

SWOT ანალიზი

სოფლის მეურნეობა	
S - ძლიერი მხარეები	**W - სუსტი მხარეები**
ნაყოფიერი ნიადაგები ეკოლოგიურად სუფთა გარემო ორიგინალური ტრადიციები და კულტურა მრავალფეროვანი სასოფლო–სამეურნეო კულტურების ჯიშები	თანამედროვე ფერმერული განათლების დაბალი დონე სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის სიმწირე და არაეფექტური მენეჯმენტი შემოსავლიანობის დაბალი დონე ახალ ტექნოლოგიებზე ხელმიუწვდომლობა არახელსაყრელი სადაზღვევო სისტემა სოფლის მეურნეობისათვის

O - შესაძლებლობები	T - საფთხეები
სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და ტექნიკის რეაბილიტაცია სათესლე მეურნეობების სტიმულირება სოფლის პროდუქციის გადამამუშავებელი ქარხნების შექმნა გრძელვადიანი და იაფი საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობა ეფექტური სადაზღვევო სისტემა	ქვეყანაში და მის გარეთ პოლიტიკური არასტაბილურობა გარემოს დაბინძურება სტიქია: გლობალური დათბობა, სეტყვა, გვალვა, ქარიშხალი და ა.შ.

2.6.3. ტრანსპორტი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის საქართველოს რკინიგზის ცენტრალური მაგისტრალი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე რკინიგზის სადგურებია: ხამისკური, ცაიში, ინგირი, ზუგდიდი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის ასევე საავტომობილო მაგისტრალი აფხაზეთის მიმართულებით (თბილისი-სოხუმი).

დღეის მდგომარეობით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 32 შიდასაქალაქო და 56 საგარეუბნო რეგულარული სამგზავრო მარშრუტი. შიდასაქალაქოს ყოველდღიურად ემსახურება 59 ავტობუსი. მათ შორის 13 საშუალო და 46 მცირე ტევადობის. გაიხსნა შპს ,,მუნიციპალური ტრანსპორტი", რომლის მეშვეობით ხორციელდება მგზავრთა გადაყვანა ,,ბოგდანის" მარკის კომფორტული ავტობუსებით და გაიაფებული ტარიფებით შიდასაქალაქო და საგარეუბნო მარშრუტებზე.

ქალაქში ფუნქციონირებს 4 ავტოსადგური და 3 ავტოსალარო, რომლებთანაც სამარშრუტო ავტობუსები დაკავშირებულია მარშრუტის მიმართულების გათვალისწინებით. მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ საქართველოს ყველა მსხვილი ქალაქის მიმართულებით ხორციელდება მგზავრთა გადაყვანა. აღსანიშნავია, რომ ავტოტრანსპორტით გადაყვანილ მგზავრთა რაოდეობა მცირდება ბოლო წლების განმავლობაში (იხ. ცხრილი №7), რაც ძირითადად განპირობებულია თბილისის მიმართულებით მგზავრობის საფასურის გაძვირებით და მოსახლეობა მატარებლით მგზავრობას ამჯობინებს.

ცხრილი №7. მგზავრთა გადაყვანა სამარშრუტო ტრანსპორტით

	სატრანსპორტო ორგანიზაციები	სახეობა	გადაყვანილი მგზავრი (ათასი კაცი)			ავტოტრანსპორტ–ის რაოდენობა (ერთეული)
			2007	2008	2009	
1	შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი”	სამგზავრო	–	4694000	1408100	21
2	შპს ,,საქავტოტრანსის ზუგდიდის ფილიალი ავტოკოლონა 120/121 ”	სამგზავრო	5010500	4757600	3819200	211
3	შპს ,,დაკა-ჯორჯია”	სამგზავრო	1260100	1159000	1320000	18
4	შპს ,,ზუგდიდავტო”	სამგზავრო	2650600	2480900	2570500	24

SWOT ანალიზი

ტრანსპორტი	
S - ძლიერი მხარეები	**W - სუსტი მხარეები**
მოსახლეობის მობილურობის მაღალი დონე მუნიციპალიტეტის შიდა სამგზავრო გადასახადების დაბალი დონე მსხვილი სატრანსპორტო მომსახურების ორგანიზაციების არსებობა	მოძველებული სატრანსპორტო საშუალებები, მეორადი ტრანსპორტი (შიდა ტრანპორტი) ჰაერის დაბინძურება
O - შესაძლებლობები	**T - საფრთხეები**
ავტო-პარკის განახლება ტურიზმთან დაკავშირებული სატრანსპორტო ხაზების განვითარება საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება, სატრანსპორტო ტარიფების რეგულირება და კონტროლი	მოსახლეობის შემოსავლების შემცირების შედეგად აღნიშნული მომსახურებით სარგებლობის შემცირება საწვავის ფასის ზრდით გამოწვეული სატრანსპორტო მომსახურების გაძვირება

2.6.4. ტურიზმი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი მნიშვნელოვანია ტურისტებისთვის მისი ისტორიული წარსულიდან და მრავალრიცხოვანი ძეგლებიდან გამომდინარე. ზუგდიდის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა და მატერიალური კულტურის ძეგლები მოწმობს, რომ აქ ადამიანი უწყვეტად ცხოვრობს ქვის ხანიდან დღემდე. თანამედროვე ქალაქ ზუგდიდის დასახელება გაჩნდა გვიან ფეოდალურ ხანაში. სწორედ ამ პერიოდში სამეგრელოს სხვა დასახლებათა შორის წარმოჩინდა და მოიხსენიება ანაკლია და ზუგდიდი როგორც „პატარა ქალაქები“. პირველი მათგანი სანავსადგურო პუნქტი იყო, მეორე - სამეგრელოს მთავრის რეზიდენცია და სავაჭრო პუნქტი. ზუგდიდის ფართო განაშენიანება სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის დროს იწყება. XIX საუკუნის 50-იან წლებში, დავით დადიანის დროს, ზუგდიდის სასახლის ბაღი უკვე ცნობილი იყო. მრეწველობის განვითარებაც დავით დადიანის სახელთანაა დაკავშირებული. 1848 წელს მან აქ აბრეშუმის საწარმოს მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი, ეს ქარხანა პირველი საწარმო იყო სამეგრელოში. ქარხანაში დამზადებული მაღალხარისხოვანი ძაფი ძვირად ფასობდა. ის რუსეთსა და ევროპის ქალაქებში გაჰქონდათ. დავით დადიანის სახელთანაა დაკავშირებული კულტურის დაწესებულებების შექმნაც, ბიბლიოთეკის დაარსება. ჭადრაკის მოყვარულთა წრის შექმნა, სადაც ჭადრაკის თამაში ისწავლა ანდრია დადიანმა, მსოფლიოში ცნობილმა მოჭადრაკემ. დადიანის სასახლე დღეს წარმოადგენს ზუგდიდის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმს, სადაც ინახება ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის კვართი. ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში ღვთისმშობლის კვართის გარდა მრავალი სიწმინდეა დაცული: წმინდა მირიანეს მკლავი, წმინდა კვირიკეს ხელის მტევანი, წმინდა გიორგის ბარძაყის ძვლის ნაწილი, წმინდა იოანე ნათლისმცემლის ძვლის ნაწილი. ზუგდიდის მუზეუმში სხვა თვალსაჩინო ისტორიულ ექსპონატებთან ერთად დაცულია ნაპოლეონ ბონაპარტის ნიღაბი და პირადი ნივთები. სასახლის დარბაზში ექსპონირებულია მსოფლიოში ცნობილი ქართველი, რუსი და საზღვარგარეთული მხატვრობის ნამუშევრები და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დიდი პოტენციალია ტურიზმის განვითარებისათვის. ამისთვის არსებობს შემდეგი ტურისტული ადგილები:

საზღვაო კურორტები	ანაკლია, განმუხური
საპიკნიკე ადგილები	ანაკლია, განმუხური, ცაიში, ჭკადუაში, კორცხელი
საჯომარდო ადგილები	ჭკადუაში (ჩხოუშია), ნარაზენი(ჭანისწყალი) დარჩელი(ენგური), შამგონა (ენგური)
სათევზაო ტურიზმი	ჭურია, ანაკლია
საცხენოსნო ტურიზმი	ურთის მთა, კორცხელი
მჟავე წყლების ადგილები	ახალსოფელი, კოლხიდა
ბუნების ძეგლები ღია მუზეუმები	სოფ. ცაიში, ცაცხვის უბანი, კოლხური წარმართული პანთეონი
კარვის გაშლის ადგილები	ანაკლია, განმუხური, ცაიში, ჭკადაუში, კორცხელი
ჩანჩქერები	ძველი აბასთუმანი - ფოქორი
გადმოსახედი ადგილები	ურთას მთა, კორცხელის მონასტერი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში პირველი რიგის კურორტებია ანაკლიისა და განმუხურის სანაპირო ზოლი და სოფ. ცაიშის ბალნეოლოგიური აბანო. უნდა აღინიშნოს, რომ ანაკლიისა და განმუხურის სანაპირო ზოლის განვითარება ცენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. შექმნილია მისი განვითარების გეგმა და მიმდინარეობს ინვესტიციების მოზიდვა, დაწყებულია სასტუმროების მშენებლობა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 30-მდე მნიშვნელოვანი ისტორიული და კულტურული ობიექტი მდებარეობს, რაც ტურისტებისთვის მნიშვნელოვანი ინტერესის წყაროა. მათ შორის:

- ✓ მაცხოვრისკარი;
- ✓ ბოტანიკური ბაღი;
- ✓ დადიანების სახლ–მუზეუმი;
- ✓ რუხისციხე და აქ არსებული გერმანელ ტყვეთა პანთეონი;
- ✓ ანაკლიის ციხე;
- ✓ ჭაქვინჯის ციხე;
- ✓ ჩიჯისკარის ციხე (კორცხელი);
- ✓ ნალიმა–კოკი;
- ✓ ცაიშის ელესია;
- ✓ კორცხელის დედათა მონასტერი;
- ✓ ცაიშის წარმათული პანთეონი;
- ✓ ერგეტის წარმართული პანთეონი;
- ✓ ერგეტის დიხა–გუძუბები;
- ✓ სახლ–მუზეუმები.

SWOT ანალიზი

ტურიზმი	
S - ძლიერი მხარეები	**W - სუსტი მხარეები**
მრავალფეროვანი ლანდშაფტი და ეკოსისტემების ნაირსახეობა მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა ტრადიციული ხალხური რეწვის კერების სიმრავლე	მუნიციპალიტეტის ტურისტული და სარეკრიაციო შესაძლებლობების შეუსწავლელობა დაზიანებული კულტურული ძეგლები და ობიექტები მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პერიფერიული გზების მოუწესრიგებლობა
O - შესაძლებლობები	**T - საფრთხეები**
მუნიციპალიტეტის სარეკრიაციო-ტურისტული პოტენციალის კომპლექსური შესწავლა და მისი ოპტიმალური გამოყენებისათვის რეკომენდაციების შემუშავება ტურისტული ინფრასტრუქტურის ახალი	არასტაბილური პოლიტიკური ვითარება და რუსული აგრესიის საფრთხე არახელსაყრელი ეკონომიკური ვითარება

ობიექტების საპილოტო პროექტების დამუშავება მუნიციპალიტეტის საკურორტო-ტურისტულ კომპლექსზე და მის ცალკეულ საინტერესო ობიექტებზე ინტერნეტგვერდის, სარეკლამო რგოლების მომზადება და გავრცელება ტურისტული ობიექტების მარშრუტიზირება	

2.7 სოციალური მდგომარეობა

2.7.1. სოციალურად დაუცველი მოსახლეობა

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 17 მარტის №51 დადგენილებით, ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის მიზნით შეიქმნა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზა, რომელიც ითვალისწინებს საარსებო შემწეობის მიღებას ოჯახის სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით. სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მონაცემებით, აღნიშნულ პროგრამაში რეგისტრირებულთა რაოდენობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შეადგენს 16 823 ოჯახს (59 137 მოსახლე, რაც მთლიანი მოსახლეობის მესამედია). აქედან საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობაა 3800 ოჯახი (13 308 მოსახლე). მიუხედავად იმისა, რომ ზოგ ოჯახს, რომელსაც უარი ეთქვა დახმარების დანიშვნაზე, ეს არ ნიშნავს, რომ აღნიშნული ოჯახები არ მიეკუთვნებიან უმწეო ფენას. პროგრამის მეთოდოლოგიის მიხედვით, მცირე დეტალმა შეიძლება ოჯახი სიღარიბის ზღვარს ზემოთ სულ რამდენიმე ქულით აწიოს, მაგრამ ოჯახი ისეთივე სავალალო მდგომარეობაში იყოს და საჭიროებდეს დახმარებას, როგორც შემწეობადანიშნული ოჯახები.

2.7.2 იძულებით გადაადგილებული პირები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი დევნილი მოსახლეობის კომპაქტური ჩასახლების მხრივ ყველაზე დიდი ცენტრია თბილისის შემდეგ, მათი რიცხვი მთლიანად მუნიციპალიტეტში შეადგენს 43 603-ს. მათ შორის ორგანიზებულად ჩასახლებაში მცხოვრებთა რაოდენობა შეადგენს 14 632-ს, ხოლო დანარჩენი – 30 971 კერძო ჩასახლებაში მცხოვრებს.

2.7.3 პენსიონრები კატეგორიების მიხედვით

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პენსიონერთა რაოდენობა 2010 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 31 672-ს. პენსიონერთა კატეგორიების მიხედვით დაყოფა მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (იხ. ცხრილი №8).

ცხრილი №8. პენსიის მიმღებთა რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

პენსიონერთა ჯგუფი	ასაკით პენსიონერი პირები	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები	მარჩენალ-დაკარგული ოჯახის წევრები	პოლიტიკურად რეპრესირებუ-ლები	სულ
მიმღებ პენსიონერთა რაოდენობა	26,316	3,801	1,546	9	31,672

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო, www.ssa.gov.ge

პენსიონერთა რაოდენობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაახლოებით 19%-ს შეადგენს. ყველაზე დიდი ასაკობრივი ჯგუფი პენსიის მიმღებთა კატეგორიაში არის 70-74 წლის ასაკობრივი ჯგუფი (იხ. ცხრილი №9).

ცხრილი №9. პენსიის მიმღებთა რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ასაკობრივი ჯგუფები	79+	75-79	70-74	65-69	60-64	სხვა	სულ
მიმღებ პენსიონერთა რაოდენობა	4,622	4,705	7,347	5,649	4,632	4,717	31,672

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო, www.ssa.gov.ge

რაც შეეხება პენსიის სიდიდეს, პენსიის მიმღებთა ყველაზე დიდი კატეგორია იღებს თვეში 80 ლარის ოდენობის პენსიას (იხ. ცხრილი №10).

ცხრილი №10. პენსიონერთა რაოდენობა პენსიის ოდენობის მიხედვით

პენსიის რაოდენობა (ლარი)	55	56	70	80	84	129	სულ
მიმღებ პენსიონერთა რაოდენობა	1,553	2	3,017	27,056	16	28	31,672

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო, www.ssa.gov.ge

2.7.4 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შშმ) რაოდენობა 2010 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 3123-ს. შშმ პირთა წილი მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 2%-ს შეადგენს. ეს სოციალური ჯგუფი მაქსიმალურად მოწყვლადი და გარიყულია საზოგადოებისგან, რასაც ხელს უწყობს ფიზიკური და სოციალური გარემოს „არაკეთილგანწყობა", თუმცა როგორც მთელ საქართველოში, ისე მუნიციპალიტეტში უკანასკნელ წლებში შეინიშნება დადებითი ცვლილებები ამ მიმართულებით. ადგილობრივ ბიუჯეტში შშმ პირებისათვის პროგრამით „ჯანდაცვა და სოციალური დახმარება" 2010 წლის ბიუჯეტში ერთჯერადი დახმარების სახით გათვალისწინებული იყო 148 ათასი ლარი. ბიუჯეტიდან ნაწილობრივ ფინანსდება არასამთავრობო ორგანიზაცია „ნერგების" ბაზაზე არსებული შშმ ბავშვთა (15-20)

სარეაბილიტაციო დღის ცენტრი. მუნიციპალიტეტში შშმ პირთა უფლებების დაცვის სფეროში მუშაობს არასამთავრობო ორგანიზაცია „დეა".

2.7.5 სხვა სოციალური ფენები

სახელმწიფოს მიერ დანიშნულ საყოფაცხოვრებო სუბსიდიას იღებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 1303 ადამიანი, რომელთაგან 786 პენსიონერია, 218 - სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები, 299 - სუბსიდიის მიმღები არაპენსიონერი.

სახელმწიფოს მიერ დანიშნულ სპეციალურ კომპენსაციას იღებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 441 ადამიანი. ისინი ძირითადად ყოფილი ძალოვანი უწყებების თანამშრომლები არიან (შინაგან საქმეთა, თავდაცვის და უშიშროების სამინისტროები), რომელთაც ამოეწურათ ნამსახურების ვადა. მათგან 348 შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ მუშაკებს განეკუთვნება, ხოლო 61 და 22 - შესაბამისად თავდაცვისა და უშიშროების სამინისტროების თანამშრომლებს, 7 პროკურატურის თანამშრომელს, 3 პარლამენტის ყოფილ წევრებს და 1 საერთო სასამართლოს ყოფილ მოსამართლეს. სულ თვეში აღნიშნული კატეგორიის კომპენსაციაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან იხარჯება 59 682 ლარი (მ.შ. 44 763 ლარი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებზე, 5 329 ლარი - თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებზე, 3 848 ლარი - უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებზე, 3 503 - პროკურატურის თანამშრომლებზე, ხოლო 1 680 - პარლამენტის ყოფილ წევრებზე).

2.8 საჯარო ფინანსები (ადგილობრივი ბიუჯეტი)

2.8.2 ბიუჯეტის შემოსულობების ანალიზი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სხვადასხვა აქტივობები მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. ბოლო წლების ბიუჯეტები წინა წლებთან შედარებით ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2010 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა 35 მილიონ 855,3 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც 28 მილიონ 88,9 ათასი ლარი (78,3%) ბიუჯეტის შემოსავლებზე მოდის, 2 მილიონ 690 ათასი ლარი (7,5%) – არაფინანსური აქტივების კლებაზე (ე.წ. ქონების პრივატიზაციიდან შემოსავლები), ხოლო დანარჩენი - 5 მილიონ 76,4 ათასი ლარი (14,2%) ფინანსური აქტივების ოპერაციებიდან მიღებულ შემოსავლებზე მოდის (იხ. ცხრილი №11).

ცხრილი №11. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, 2007-2010 წ.წ.

	2007	2008	2009	2010
ბიუჯეტის შემოსულობები, სულ	**23726,2**	**23707,6**	**22417,5**	**35855,3**
ბიუჯეტის შემოსავლები, მთლიანად	**21416,7**	**19168,2**	**21570,0**	**28088,9**
მათ შორის:				
საგადასახადო შემოსავლები	6173,3	1192,7	2196,3	2308,0
არასაგადასახადო შემოსავლები (მოსაკრებლები და სხვა შემოსავლები)	896,8	962,5	1418,5	1204,4
გრანტები (ტრანსფერის ჩათვლით)	12037,1	12473,0	17107,7	16810,1
არაფინანსური აქტივების კლება	1108,9	578,0	330,8	2690,0
ფინანსური აქტივების კლება	1200,6	3961,4	516,7	5076,4

წყარო: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პასპორტი.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები ზრდის ტენდენციით ხასიათდება (იხ. დიაგრამა №2). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები ძალიან მცირეა (ბიუჯეტის შემოსავლების მხოლოდ 12,5%) და ბიუჯეტის შემოსავლების დიდი ნაწილის ფორმირება ცენტრალური ხელისუფლებიდან მიღებული ტრანსფერების ხარჯზე ხორციელდება (ბიუჯეტის შემოსავლების დაახლოებით 87,5%). საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების სიმწირე ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკური აქტივობა დაბალია და ბიზნესსექტორი სუსტად არის განვითარებული. ამასთან, ქონების გადასახადში არსებობს ბევრი საგადასახდო შეღავათი, რომელიც ასევე ბიუჯეტში ამ გადასახადიდან შემოსავლების სიმცირეს განაპირობებს. ცენტრალური ხელისუფლებიდან მიღებულ ტრანსფერებში მნიშვნელოვანი წილი გათანაბრებით ტრანსფერს უჭირავს, რომლის საკუთარი სურვილისამებრ განკარგვის უფლებამოსილებაც ადგილობრივ ხელისუფლებას გააჩნია. რაც შეეხება მიზნობრივ ტრანსფერს, მისი ხარჯვის მიმართულებები ცენტრალური ხელისუფლების მიერ განისაზღვრება და ადგილობრივ თვითმმართველობებს დელეგირებული უფლებამოსილებების დაფინანსებისთვის გადაეცემათ. აღსანიშნავია, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ყველაზე დიდი მოცულობა 2010 წელს მიღებულ სპეციალურ ტრანსფერს უკავია, რომელიც საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო.

დიაგრამა №2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები, ათასი ლარი



მოსაკრებლებიდან დიდი წილი უჭირავს დასუფთავების, სათამაშო ბიზნესის და სანებართვო მოსაკრებლებს. შემოსავლების ნაწილში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჯარიმებიდან და სანქციებიდან მიღებულ შემოსავლებს. 2010 წელს აღნიშნული მუხლით 650,4 ათასი ლარის მიღება არის გათვალისწინებული, ხოლო 2011 წლისთვის ნავარაუდევია 450 ათასი ლარის მიღება. უნდა ითქვას, რომ საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროს ვერ ქმნიან.

2.8.3 ბიუჯეტის გადასახდელები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების ზრდის ადექვატურად იზრდება გადასახდელების მოცულობაც, თუმცა 2009 წელს ბიუჯეტის გადასახდელების გარკვეულ შემცირებასაც კი ჰქონდა ადგილი (იხ. ცხრილი №12, დიაგრამა №3). 2010 წელს ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობამ 28 მილიონ 88,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2009 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 11 მილიონ 595 ათასი ლარით მეტია, ხოლო 2007 წელთან შედარებით კი 10 მილიონ 527 ათასი ლარით მეტი.

ცხრილი №12. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები, 2007-2010 წ.წ.

	2007	2008	2009	2010
ბიუჯეტის გადასახდელები, სულ	**17561.3**	**18651.6**	**16493.6**	**28088.9**
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1029.3	1500.3	2477.1	3184.8
თავდაცვა	88.5	99.5	128.5	105.0
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1141.7	770.5	239.0	600.0
ეკონომიკური საქმიანობა	11083.8	9880.9	8049.1	17794.4
გარემოს დაცვა	1186.0	659.5	86.7	68.8
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	607.8	1271.5	847.1	850.0
ჯანმრთელობის დაცვა	139.0	148.5	126.3	140.0
დასვენება, კულტურა, რელიგია	842.6	1210.9	1976.5	2764.0
განათლება	1009.5	2700.2	2141.9	2090.0
სოციალური დაცვა	433.1	409.8	421.4	491.9

წყარო: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პასპორტი.

ბიუჯეტის ხარჯების კატეგორიაში ყველაზე დიდი წილი, ბოლო წლების განმავლობაში და 2010 წელსაც ეკონომიკურ საქმიანობაზე, საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე და დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროს დაფინანსებაზე მოდიოდა. თავისუფლად შესაძლებელია ითქვას, რომ ეკონომიკური საქმიანობა მუნიციპალიტეტის ბოლო წლების უცვლელი პრიორიტეტია. 2010 წელს ამ კუთხით 17 მილიონ 794 ათასი ლარი იქნა გამოყოფილი.

დიაგრამა №3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, ათასი ლარი



მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ ზუგდიდის ბიუჯეტიდან მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების დაფინანსება (იხ. ცხრილი №13), რომლებიც ძირითადად ოთხი ორგანიზაციული კოდის ქვეშ არის მოქცეული (ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია; საგანმანათლებლო ღონისძიებები; სპორტული და კულტურული ღონისძიებები; სოციალური და ჯანდაცვის ღონისძიებები).

ცხრილი №13. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2009–2011 წლების ძირითადი საბიუჯეტო ხარჯები

ორგ. კოდი	საბიუჯეტო ხარჯის დასახელება	2009 წ. ფაქტი	2010 წ. გეგმა	2011 წ. გეგმა
05 00	**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეკონსტრუქცია და ექსპლუატაცია**	**8193,6**	**18776,5**	**4635,0**
05 01	გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა–შენახვის ხარჯები	2419,1	2615,1	80,0
05 02	სამგზავრო ავტობუსების შეძენის ასიგნება	360,8	0,0	0,0
05 04	ხიდების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	366,0	484,1	80,0
05 05	წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	153,2	192,3	0,0
05 06	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა–რეაბილიტაციის ღონისძიებები	483,1	274,4	0,0
05 08	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	896,6	1217,5	500,0
05 09	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების ღონისძიების პროგრამა, ა.ი.პ. ,,ზუგდიდდასუფთავება"	847,1	1020,0	1000,0
05 10	ცენტრალური პარკის კეთილმოწყობა, სკვერების, ბულვარის და ქუჩების გამწვანების სამუშაოები	159,6	617,1	0,0
05 13	ქალაქის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოები ა.ი.პ. ,,კეთილმოწყობის ბაზაზე"	550,5	999,3	750,0
05 14	სახურავების რეაბილიტაცია	272,9	906,2	0,0

05 15	ა.ი.პ. ,,ყინულის მოედანი"	4,8	3,8	0,0
05 20	განმუხურის ზღვისპირა ზოლის კეთილმოწყობა	397,8	87,7	0,0
05 22	მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლის ტერიტორიული ერთეულების მხარდაჭერის პროგრამა	635,7	1405,5	0,0
05 24	სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა (მათ შორის ადგილობრივი ტყეების მოვლა–შენახვის) პროგრამა	28,8	68,8	70,0
05 25	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	200,6	147,4	75,0
05 26	ა.ი.პ. ,,სასაფლაოების მართვის ცენტრი"	13,2	60,0	80,0
05 28	ნაგავსაყრელის მოწყობა	0,0	872,0	0,0
05 30	ანაკლიის სასტუმროს მშენებლობა	0,0	7670,0	0,0
05 31	ანაკლია–განმუხურის ხიდის ფიზიბილითის მომზადება	0,0	60,0	0,0
06 00	**საგანმანათლებლო ღონისძიებები**	**2141,9**	**1607,0**	**1215,0**
06 01	სკოლამდელი აღზრდის პროგრამა	1090,0	1200,0	1000,0
06 02	საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობა და რეაბილიტაცია	745,3	87,8	50,0
06 03	სკოლამდელ დაწესებულებათა რეაბილიტაცია	0,0	85,0	0,0
06 04	სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადების პროგრამა ზედაეწერის კოლეჯის ბაზაზე	60,0	70,0	40,0
06 05	სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობის პროგრამა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ბაზაზე	137,2	120,0	120,0
06 06	განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა	4,6	8,0	5,0
06 07	სტიქიის შედეგად საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მიყენებული ზარალის ლიკვიდაციის ღონისძიებები	104,8	36,2	0,0
07 00	**სპორტული და კულტურული ღონისძიები**	**1976,5**	**2729,8**	**2100,0**
07 01	სპორტული განვითარების ხელშეწყობის პროგრამა მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრის ბაზაზე	772,0	1054,0	800,0
07 02	სპორტული ღონისძიების დაფინანსება	0,0	51,0	40,0
07 07	კულტურული ღონისძიების პროგრამა	429,1	536,0	400,0
07 08	მინი სპორტული მოედნების მშენებლობა	0,0	182,3	0,0
07 09	თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა შ. დადიანის სახელობის თეატრის და ჩხორიის სამოყვარულო თეატრის ბაზაზე	162,5	158,0	120,0
07 11	მუსიკალურ–ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების პროგრამა ა.ი.პ. ,,ოდიშის" ბაზაზე	129,2	211,5	160,0
07 12	სახელოვნებო სკოლების განვითარების პროგრამა	207,8	233,0	250,0
07 13	მუზეუმების, სამხატვრო გალერეის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობის პროგრამა	70,2	63,4	85,0
07 14	საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა ა.ი.პ. ,,ცენტრალური ბიბლიოთეკის" ბაზაზე	153,7	160,6	160,0
07 15	საინფორმაციო–საგამომცემლო მომსახურების უზრუნველყოფის პროგრამა	9,4	20,0	35,0

07 16	სასულიერო განათლების ხელშეწყობის პროგრამა წმინდა გიორგის სახელობის გიმნაზიის ბაზაზე	11,0	10,0	10,0
07 17	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	31,6	40,0	40,0
08 00	**სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები**	**547,7**	**665,0**	**630,0**
08 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელების პროგრამა	126,3	110,0	110,0
08 02	ჯანდაცვის სხვა ღონისძიებები		14,0	25,0
08 03	მიუსაფართა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	50,0	54,0	80,0
08 04	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის ღონისძიების პროგრამა	27,2	30,0	30,0
08 05	ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა	63,0	119,3	90,0
08 06	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა და რეაბილიტაციის პროგრამა	90,7	148,0	100,0
08 07	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	12,9	36,1	20,0
08 08	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	3,9	10,0	10,0
08 09	სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა	16,5	30,0	30,0
08 11	უსახლკაროდ დარჩენილთა სოციალური დაცვა	27,8	35,0	30,0
08 13	დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა	2,1	23,7	20,0
08 14	უმწეო ოჯახების შეშით, პურის ფქვილით და სხვა სახის დახმარების უზრუნველყოფის პროგრამა	34,0	40,0	40,0

წყარო: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის პროექტი, www.zugdidi-sakrebulo.ge

2011 წლისთვის მნიშვნელოვნად არის შემცირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ხარჯები. აღნიშნული დაკავშირებულია იმასთან, რომ 2009–2010 წლებში ძირითადად დასრულდა მსხვილი პროექტები (გზების მშენებლობა–რეკონსტრუქცია და წყლის სისტემის რეაბილიტაცია–ექსპლუატაცია, ასევე ანაკლიის და განმუხურის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობა). 2011 წლისთვის ძირითადად ექსპლუატაციის ხარჯებია გათვალისწინებული. ყველაზე მეტი ხარჯი – 1 მილიონი ლარი მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების ღონისძიებებზეა გათვალისწინებული.

შემცირებულია ასევე საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები როგორც საბავშვო ბაღებზე, ასევე სახელოვნებო სკოლებზე. ასევე მნიშვნელოვნად არის შემცირებული სპორტის და კულტურის ხარჯები ყველა მიმართულებით (სპორტული სკოლები, თეატრების, მუზეუმები და სხვა კულტურის დაწესებულებები). 2011 წლისთვის შემცირებულია ასევე ხარჯები საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურებაზე და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების სხვადასხვა სახის დახმარებებზე.

SWOT ანალიზი

საჯარო ფინანსები	
S - ძლიერი მხარეები	**W - სუსტი მხარეები**
ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის ტენდენცია ეკონომიკურ საქმიანობაზე მიმართული ხარჯების მოცულობის ზრდა 2012 წლიდან ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსების პრინციპზე გადასვლა	ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში საგადასახადო შემოსავლების მცირე ხვედრითი წილი, რაც ზრდის მის ცენტრზე დამოკიდებულების ხარისხს საგადასახადო შემოსავლების შემცირების ტენდენცია უარყოფითი სალდოს მაღალი მაჩვენებელი
O - შესაძლებლობები	**T - საფრთხეები**
სახელმწიფოს მხრიდან ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ხელს შეუწყობს საგადასახადო შემოსავლების ზრდას არაფინანსური აქტივების ზრდისთვის გაწეული გადასახდელების მაქსიმიზაცია ადმინისტრაციული ხარჯების მინიმიზაცია („ქამრების მოჭერა“)	მომავალ წელს საგადასახადო შემოსავლების შემცირება მომავალი წლის გადასახდელებში ადმინისტრაციული ხარჯების ზრდა მომავალი წლის შემოსულობებს და გადასახდელებს შორის უარყოფითი სალდოს ზრდა

3. მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები

3.1. გამოკითხვის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის ძირითადი მიზანი იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებისა და საჭიროებების გამოვლენა.

კვლევის კონკრეტულ ამოცანებს წარმოადგენდა:

- ✓ მუნიციპალიტეტის ძირითადი პრობლემებისა და საჭიროებების იდენტიფიცირება;
- ✓ ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება;
- ✓ მუნიციპალიტეტის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით მოსახლეობის პრიორიტეტების დადგენა;
- ✓ მუნიციპალიტეტის სოციალ-ეკონომიკური პროფილის შესწავლა.

მეთოდი და ინსტრუმენტი

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შემუშავებულ იქნა კვლევის ოპტიმალური დიზაინი, რომელიც გულისხმობს რაოდენობრივი კვლევის ჩატარებას მუნიციპალიტეტის ზრდასრულ

მოსახლეობასთან. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში მონაცემები შეგროვდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით.

კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა კვლევის მიზნების გათვალისწინებით შექმნილი კითხვარი.

საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ განხორციელდა ველის ხარისხის კონტროლი. მოცემული კვლევის ფარგლებში კონტროლს მიენიჭა ინტერვიუერთა მიერ შესრულებული სამუშაოს სიზუსტის დადგენა და ხარვეზების გამოვლენა; საველე სამუშაოების დამთავრების შემდგომ მიღებული შედეგები შეტანილ და დამუშავებულ იქნა სპეციალურ სტატისტიკურ პროგრამაში (SPSS). შედეგების სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე მომზადდა კვლევის საბოლოო ანგარიში.

სამიზნე ჯგუფი და შერჩევის არეალი

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ზრდასრული დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობა.

შერჩევის ბაზა – 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემები და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან მიღებული მუნიციპალიტეტში ჩასახლებულ დევნილთა ოფიციალური მონაცემები.

შერჩევის მეთოდი –არაპროპორციული სტრატიფიცირებული შერჩევა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მასშტაბით კვლევაში სულ მონაწილეობა მიიღო 599-მა რესპონდენტმა, მათ შორის ქალაქში გამოკითხული იქნა 221 რესპონდენტი, ხოლო სოფლად – 378. საკვლევი ერთობლიობიდან 70% წარმოადგენდა დევნილს, ხოლო 30% ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას (დიაგრამა№4).

დიაგრამა №4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გამოკითხული მოსახლეობა



კვლევის ეტაპები და მიმდინარეობა

კვლევა განხორციელდა 2010 წლის ივნისსა და ივლისში. კვლევის ეტაპები და განხორციელების ვადები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

№	კვლევის ეტაპები	ივნის–ივლისი				
1.	კვლევის ინსტრუმენტის შექმნა					
2.	საველე სამუშაოები					
3.	მონაცემთა შეყვანა					
4.	მონაცემთა დამუშავება					
5.	კვლევის საბოლოო ანგარიშის მომზადება					

3.2 ძირითადი მიგნებები[1]

კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგანს მუნიციპალიტეტის პრობლემებისა და საჭიროებების შესწავლა წარმოადგენდა. კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მწვავედ მუნიციპალიტეტში დასაქმების პრობლემა დგას. ეს საკითხი რესპონდენტთა 47,9%-მა სპონტანურად დაასახელა. რესპონდენტთა 27,3% მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნევს ადგილობრივი ბიზნესის განუვითარებლობას. მოსახლეობისათვის, ასევე მწვავედ დგას მუნიციპალიტეტში გაზმომარაგების საკითხი, რესპონდენტების (10,4%) აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა სწორედ გაზმომარაგებაა. ასევე მნიშვნელოვან პრობლემადაა დასახელებული (გამოკითხულთა 8,2%-ის აზრით) გაუმართავი-ამორტიზებული შიდა გზები. რაც შეეხება მუნიციპალიტეტში ხარისხიან სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას, მართალია აღნიშნულ საკითხს რესპონდენტთა მხოლოდ 7,3% ასახელებს, მაგრამ ზოგადად პრობლემებს შორის, ეს საკითხი საკმაოდ აქტუალურია (იხ. დიაგრამა №5).

დიაგრამა №5. მუნიციპალიტეტის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები



[1] თითოეული ქვემოთ მოყვანილი დასკვნა ეფუძნება რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებულ სტატისტიკურ მონაცემებს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვემოთ წარმოდგენილია მხოლოდ სტატისტიკურად სანდო მონაცემები.

რესპონდენტების აზრით მათ დასახლებაში (უბანში) არსებული სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა: გზების რეაბილიტაცია (26,9%), სასმელი წყლით მომარაგება (22%) და სოციალური დახმარება (21,2%), რომელიც მათივე აზრით უნდა მოაგვაროს ადგილობრივმა ხელისუფლებამ. მწვავედ დგას ასევე გაზმომარაგების (10,2%), დასუფთავების (8%), და გარე განათების (4,5%) საკითხები. რესპონდენტების მიერ დასახელებული პრობლემების ანალიზისას ჩანს, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, ძირითადად, საყოფაცხოვრებო საკითხები აწუხებთ. რაც შეეხება გზების რეაბილიტაციის, სასმელი წყლით მომარაგებისა და სოციალური დახმარების საკითხებს აშკარა პრიორიტეტია როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მოსახლეობისათვის (იხ. დიაგრამა №6).

დიაგრამა №6. დასახლების (უბნის) სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც შესაძლებელია გადაჭრას ადგილობრივმა ხელისუფლებამ



საინტერესოა, რესპონდენტთა აზრი მუნიციპალიტეტის ყველაზე მნიშვნელოვან ძლიერ მხარეებზე, დამახასიათებელ - გამორჩეულ ნიშანზე. უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა ნაწილს გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა და შემოიფარგლა ფრაზით ,,ჩემი სახლი აქ არის" ან ,,აქ დავიბადე და გავიზარდე" – ასეთია გამოკითხულთა 13,2%-ზე მეტის პასუხი. ძლიერ მხარედ, რესპონდენტები ასახელებენ მოხერხებულ გეოგრაფიულ მდებარეობას (39,9%), მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურას (11,9%) და კარგ ბიზნესგარემოს (7,8%). რესპონდენტები ძლიერ მხარედ ასახელებენ ასევე კარგ კლიმატურ პირობებს (7,2%), დიდ ტრადიციებს (7,7%) და საზოგადოებრივ გარემოს (6%). საინტერესოა, რომ ტურიზმის პოტენციალი არ აღმოჩნდა ძლიერ მხარეებს შორის. როგორც ჩანს, ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ხედავს ტურიზმის განვითარების შემთხვევაში საკუთარი შემოსავლების ზრდის პოტენციალს.

დიაგრამა №7. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სამი მნიშვნელოვანი ძლიერი მხარე



რესპონდენტები ბიზნესის განვითარებისთვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორად მოსახლეობაში თანხების უქონლობას ასახელებენ, ასეთია გამოკითხულთა თითქმის 50%-ის აზრი (იხ. დიაგრამა №8). ასევე მიზეზებს შორის დასახელდა დაბალი ბიზნესგანათლება (19%), საკრედიტო ინსტიტუტების სიმცირე (14,4%), საგადასახადო კანონმდებლობა (4,7%) და ბიზნესმენთა ინტერესების გაუთვალისწინებლობა (4%). აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა დაახლოებით 7%–ს გაუჭირდა პასუხის გაცემა. რესპონდენტები თვლიან, რომ ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების უზრუნველყოფა: ინვესტიციების მოზიდვა, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და მცირე კრედიტების გაცემა ბიზნესისათვის.

დიაგრამ №8. მუნიციპალიტეტში ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები



სწორედ, კითხვაზე ,,თქვენ რომ მუნიციპალიტეტის გამგებელი იყოთ, რომელ სამ ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებას განახორციელებდით მუნიციპალიტეტში" რესპონდენტების 46,6% ფიქრობს, რომ ინვესტიციებს მოიზიდავდა, 14,7% მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურას მოაწესრიგებდა, 14,2% კი გასცემდა მცირე კრედიტებს ბიზნესისათვის. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, როგორც ჩანს მოსახლეობაში ტრადიციულად მაღალია წარმოდგენები სახელმწიფოს (და თვითმმართველობასაც მასთან ასოცირებენ) როლზე ეკონომიკის რეგულირებაში.



რაც შეეხება, მოქალაქეთა ინფორმირებულობას ადგილობრივი თვითმმართველობის ვალდებულებებთან დაკავშირებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საკმაოდ დაბალია. რესპონდენტთა 41% საერთოდ ვერ ასახელებს ადგილობრივი ხელისუფლებისათვის კანონმდებლობით დაკისრებულ ვალდებულებებს, ხოლო რესპონდენტების 21% მუნიციპალიტეტს სხვა ვალდებულებებს აკუთვნებს (იხ. დიაგრამა №9).

დიაგრამა №9. მოქალაქეთა ინფორმირებულობა თვითმმართველობის ვალდებულებებთან დაკავშირებით



კვლევისას, ასევე დავინტერესდით, თუ კომუნიკაციის რომელ საშუალებებს ანიჭებს უპირატესობას ადგილობრივი მოსახლეობა. კითხვაზე საინფორმაციო წყაროებთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოსახლეობა ინფორმაციით

თავისი საქმიანობისა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, გამოკითხულთა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს ტელევიზიას (29,5%), შემდეგ მოდის საჯარო შეხვედრები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან – 23,2% (იხ. დიაგრამა №10). საინტერესოა, რომ რესპონდენტთა 10,6% უპირატესობას ანიჭებს ინფორმაციის მიღებას საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, რაც მათდამი მაღალი ნდობის მაჩვენებელია. ინფორმაციის გავრცელებას მამასახლისის/სოფლის რწმუნებულის მეშვეობით უპირატესობას ანიჭებს – 9,8%, ხოლო პრესის მეშვეობით მხოლოდ 8,3%. კომუნიკაციის ისეთი საშუალებები, როგორიცაა რადიო, ბუკლეტები, საინფორმაციო ცენტრები, ინტერნეტი და სხვა, მოსახლეობის მოწონებას ნაკლებად იმსახურებს.

დიაგრამა №10. ადგილობრივმა თვითმმართველობამ როგორ უნდა გაავრცელოს ინფორმაცია თავისი საქმიანობისა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ



4. ,,განვითარების კომიტეტის" ხედვა მუნიციპალიტეტის განვითარებასთან დაკავშირებით

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი არის ესთეტიური იერსახით, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით (უნივერსალური დიზაინით), გაძლიერებული, მზარდი ეკონომიკით, გათვითცნობიერებული სამოქალაქო საზოგადოებით, მრავალფეროვანი სამედიცინო და სოციალური მომსახურებით, გაუმჯობესებული კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ-ტურისტული გარემოთი, ეკოლოგიურად სუფთა ადმინისტრაციული ერთეული.

„განვითარების კომიტეტის" მიერ ჩამოყალიბდა შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

1. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება (სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოები);
2. ინფრასტრუქტურის განვითარება;
3. ტურიზმის განვითარება.

,,განვითარების კომიტეტმა" სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრის დროს იხელმძღვანელა ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებიდან გამოდინარე. თუმცა, აღნიშნული პრობლემების გადაჭრა თვითმმართველობების პირდაპირ კომპეტეციას არ წარმოადგენს. ადგილობრივ ხელისუფლებას განსაზღვრული სტრატეგიული მიმართულების მისაღწევად შეუძლია ხელისშემწყობი ღონისძიებების განხორციელება.

სტრატეგიული მიმართულება: სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა

საქართველოში მიმდინარე ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარე ხელისუფლების სტრატეგიას წარმოადგენს ეკონომიკაში მინიმალური ჩარევა. მიუხედავად დიდი მოლოდინისა, საქართველოში ბევრი დარგი ძალიან ნელა ვითარდება და ხელისუფლების მიერ გაკეთებული დასკვნების შედეგად საჭიროებს მნიშვნელოვან დახმარებას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო სოფლის მეორნეობაა. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სოფლის მეურნეობით არის დაკავებული, თუმცა მათ მიერ შექმნილი დოვლათი არასკმარისია და ოჯახების საკმაოდ დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება.

სოფლის მეურნეობაში არსებული მძიმე მდგომარეობის გამომწვევი მიზეზებიდან შეგვიძლია გამოვყოთ:

კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები და სოფლის მეურნეობის დაკრედიტების დაბალი მაჩვენებელი
ახალ ტექნოლოგიებზე მოსახლეობის ინფორმირების დაბალი ხარისხი
საჭირო მანქანა-დანადგარებზე ხელმისაწვდომობის დაბალი ხარისხი
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი ქარხნების სიმწირე
სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემნახველი (ძირითადად ,,მაცივრები") მეურნეობების ნაკლებობა
მოსავლის დაზღვევის მექანიზმის არარსებობა

წლების განმავლობაში ხელისუფლების მხრიდან ამ სფეროს დაბალი დაფინანსება, რაც ნაკლებად პრიორიტეტულობას ნიშნავს.

ზემოთ მოყვანილი მიზეზებიდან გამომდინარე საქართველოში მოხმარებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის უმეტესი ნაწილი იმპორტირებულია, რაც ქვეყნის ეკონომიკის გარეგან ეფექტებზე დამოკიდებულების რისკს ზრდის. ნათელი მაგალითია სურსათზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდა.

აგრარულ ქვეყანაში მიწის დიდი ნაწილი დაუმუშავებელია და უცხო ქვეყნიდან ხდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტი, რაც ეკონომიკურად გაუმართლებელია.
სასოფლო-სამეურნეო წარმოების და სოფლად განვითარების ზრდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში შეთანხმებული სამოქმედო გეგმის პრიორიტეტია (4.4. პუნქტი), კერძოდ:

2006-2009 წლებში სოფლის მეურნეობის განვითარების ისეთი სტრატეგიის მიღება და განხორციელება, რომელიც ხელს უწყობს 1) მიწის პრივატიზაციისა და მიწის ბაზრის ლიბერალიზაციის პროცესის დასრულებისათვის საჭირო სტრუქტურულ, ინსტიტუციურ, სამართლებრივ და ადმინისტრაციული დახმარების განვითარებას; 2) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დივერსიფიცირებას, სასოფლო ტურიზმის განვითარების ჩათვლით ხარისხიანი წარმოების განვითარების, მისი პოპულარიზაციისა და დაცვის მხარდაჭერა საუკეთესო პრაქტიკის და საერთაშორისო და ევროკავშირის სტანდარტების გამოყენების შესახებ არსებული გამოცდილების გაცვლა
ისეთი ღონისძიებების განსაზღვრა და შემუშავება, რომლებიც გააუმჯობესებს 1) კრედიტების მიღებას სასოფლო-სამეურნეო სექტორში კერძო ინვესტიციების მოზიდვის მიზნით; 2) ადგილობრივ და საექსპორტო ბაზრებთან მისასვლელს და 3) ცოდნის გადაცემას და მომსახურების გაუმჯობესებას.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებად არ არის განსაზღვრული სოფლის მეურნეობის სფეროს რაიმე სახით ხელშეწყობა, მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემა მოსახლეობისათვის პრიორიტეტულია. სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების მე-2 და მე-3 მუხლის თანახმად სოფლის მეურნეობის პოლიტიკის განსაზღვრა და სახელმწიფო პროგრამების განხორციელება სოფლის მეურნეობის სამინისტროს უშუალო კომპეტენციაა.

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად დაუშვებელია თვითმმართველობის მიერ ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად სხვა დონის ხელისუფლების უშუალო კომპეტენციაა. გამომდინარე აქედან, თვითმმართველობა სოფლის მეურნეობის სფეროში პირდაპირ ჩარევას ვერ განახორციელებს. სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოების პირდაპირი დახმარება (ფინანსური სუბსიდირება) საქართველოს კანონმდებლობით (თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ კანონი) ხელისუფლების მხრიდან დაუშვებელია. თვითმმართველობას ამ მიმართულებით შეუძლია ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოების და საგანმანათლებლო

პროგრამების განხორციელება სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოყვანასა და მათი გადამუშავების მაჩვენებლის ზრდის მიზნით.

არსებული საკანონმდებლო რეგულაციებიდან გამომდინარე თვითმმართველობას რჩება შემდეგი ირიბი ღონისძიებების განხორციელების უფლებამოსილება:

ერთადერთი რეალური საშუალება, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებას ბიზნესის ხელშესაწყობად გააჩნია, არის ქონების გადასახადის განაკვეთი. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ქონების გადასახადის განაკვეთის განსაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის პრეროგატივაა და ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებეული ქონების გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს 1 პროცენტს. დაუშვებელია ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით დიფერენცირებული საპროცენტო განაკვეთის დადგენა. ზუგდიდის თვითმმართველობას წლების განმავლობაში 1 პროცენტიანი (მაქსიმალური) განაკვეთი აქვს შემოღებული. ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით შესაძლებელია თვითმმართველობამ გადახედოს ქონების გადასახადის განაკვეთს, თუმცა აუცილებელია ამ გადაწყვეტილების ფისკალური ეფექტის გათვლა.

სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო ცენტრის შექმნის ხელშეწყობა. ცენტრის უპირველესი ამოცანა უნდა იყოს: 1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სოფლის პროდუქტების სასაწყობე მეურნეობის და გადამამუშავებელი (საკონსერვო) საწარმოების ჩამოყალიბებისათვის საინვესტიციო პაკეტების მომზადება; 2. სოფლის მეურნეობის სპეციალისტების გადამზადება; 3. სათესლე მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა; 4. არსებულ ტექნიკურ მოწყობილობებზე ინფორმაციის მოგროვება და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვა; 5. ხარისხიანი შხამ-ქიმიკატების შემოტანის ხელშეწყობა; 6. ფერმერებისათვის დაბალ პროცენტიან და გრძელვადიან სესხებზე ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის მიმართვა და წინადადებების წარდგენა სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო ჩარევის აუცილებლობის შესახებ. შესაძლებელია თვითმმართველობამ მოითხოვოს კონკრეტული საქმიანობების განხორციელების კომპეტენციის დელეგირება. გადაწყვეტილებას იღებს ცენტრალური ხელისუფლება - სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა - თვითმმართველობას შეუძლია იმ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის გაღრმავება, რომელთა პრიორიტეტს საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარება წარმოადგენს. მსგავსი ორგანიზაციები ძირითადად სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობენ, კომპეტენციიდან გამომდინარე. ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია ცენტრალურ ხელისუფლებასთან კოორდინირებით ხელი შეუწყოს დონორი ორგანიზაციების თვითმმართველობის ტერიტორიაზე საქმიანობას.

სტრატეგიული მიმართულება: ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტს ტურიზმის განვითარებისთვის უზარმაზარი შესაძლებლობები გააჩნია. მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა, შესანიშნავი დასასვენებელი ადგილები, ბუნება, საკურორტო ადგილები (ანაკლია და განმუხური), აქ არსებული ისტორიისა და ბუნების

ძეგლები ყოველთვის იპყრობდა მნახველთა ყურადღებას. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ანაკლიისა და განმუხურის სანაპირო ზოლის განვითარება ცენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. შექმნილია მისი განვითარების გეგმა და მიმდინარეობს ინვესტიციების მოზიდვა, დაწყებულია სასტუმროების მშენებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტში ტურიზმი შეიძლება წარიმართოს შემდეგი მიმართულებებით:

საზღვაო ტურიზმი (ანაკლია, განმუხური)
სამკურნალო ტურიზმი (ცაიშის გოგირდის აბანოები)
კულტურულ–დასასვენებელი ტურიზმი
აგროტურიზმი

თვითმმართველობის კომპეტენციებიდან გამომდინარე ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით განახორციელოს შემდეგი ამოცანები:
არსებულ ტურისტულ პოტენციალზე ინფორმაციის გავრცელება ახალი ტურისტული ნაკადის მოსაზიდად. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტურიზმის კუთხით პოპულარიზაციისათვის აუცილებელია აქტიური საინფორმაციო და პიარ კამპანიის წარმოება, რათა მოხდეს რაც შეიძლება მეტი ტურისტის დაინტერესება და მოზიდვა. არათანმიმდევრულმა და ცუდად დაგეგმილმა პიარ კამპანიამ შეიძლება უკუშედეგი გამოიღოს, სწორედ ამიტომ აუცილებელია შეიქმნას სპეციალური საინფორმაციო ტურისტული ცენტრი, რომელიც მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრებით იქნება დაკომპლექტებული და რომლის მთავარი მიზანი იქნება მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია.

ცენტრის უპირველესი ამოცანა იქნება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლები გახადოს ტურისტებისათვის უფრო ინფორმაციული, შექმნას ტურისტული გზამკვლევები, ბუკლეტები, ლიფლეტები, CD-ები, სარეკლამო რგოლები და ა.შ. ამასთან, აუცილებელია შეიქმნას სპეციალური ვებგვერდი, რომელიც უნდა მოიცავდეს სრულ ინფორმაციას ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებულ ტურისტულ ობიექტებზე. ამ ვებგვერდის ლინკი უნდა დაიდოს ტურიზმის დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე ეკონომიკის და კულტურის სამინისტროების ვებგვერდებზე, საგარე საქმეთა სამინისტროსა და აკრედიტებული საელჩოების ვებგვერდებზე, საქართველოში მოქმედი ტურ-ოპერატორების და ტურისტული სააგენტოების ვებგვერდებზე. ვებგვერდს უნდა ჰქონდეს ლინკები ზუგდიდში არსებული სასტუმროებისა და კვების ობიექტების ვებგვერდებთან.

აღნიშნული, ტურისტული საინფორმაციო ცენტრის შესაქმნელად უნდა მოხდეს დონორი ორგანიზაციების დაინტერესება და მათი მხრიდან მისი დაფინანსება, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან ხელის შეწყობის მიზნით ქალაქში გამოეყოს შენობა ნაგებობა.

გამომდინარე იქიდან, რომ ტურიზმის განვითარება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაა (ამასთანავე, ტურიზმი ცენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტია) და საამისოდ ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტიც არსებობს, დიდია მისი როლი ზუგდიდის

მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსების მოძიების ძირითადი ბერკეტებიც მის ხელშია. ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს:

- საერთო-სახელმწიფოებრივი დანიშნულების ტურისტული ობიექტების მოვლა-პატრონობა და ამ აქტივობებზე მეტი რესურსების დახარჯვა;
- ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის დაფინანსება;
- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დაინტერესება ტურიზმის განვითარებაში რესურსების ჩადებით;
- გამოფენების, ჩვენებების და სხვა PR-ღონისძიებების დაგეგმვა, ჩატარება და ტურისტების მოზიდვა.

ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარ კომპეტენციას არ განეკუთვნება ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან არ შეიძლება დაფინანსდეს ტურიზმის განვითარება პირდაპირი გზით, თუმცა მუნიციპალიტეტს შეუძლია დააფინანსოს ტურიზმის ხელშემწყობი ღონისძიებები - განავითაროს შემდეგი ადგილობრივი ინფრასტრუქტურა:

- შეაკეთოს მისასვლელი გზები (ადგილობრივი მნიშვნელობის) ტურისტულ ობიექტებამდე;
- გააკეთოს მონიშვნები და მაჩვენებლები გზებზე, გზაჯვარედინებზე;
- უზრუნველყოს გარე განათება ტურისტულ მარშრუტებზე და ობიექტებთან;
- განახორციელოს ნარჩენების გატანა;
- მოაწყოს ტურისტულ სანახაობებთან სველი წერტილები;
- მოაწყოს ტურისტულ სანახაობებთან კომერციული და არაკომერციული მოედნები.

5. პროგრამის პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები

5.1. პრიორიტეტების შერჩევის კრიტერიუმები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის გაანალიზების შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი პრიორიტეტული პრობლემები, რომლებიც საჭიროებენ პირველ რიგში მოგვარებას. აღნიშნული პრიორიტეტული პრობლემებია:

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და გარე განათების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება და მოსახლეობის სასმელი წყლის მიწოდების სისტემების მოწესრიგება;
სხვადასხვა სოციალური გასაცემლების მოცულობის გაზრდა;
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის და უტილიზაციის სისტემის დახვეწა.

პრობლემატური პრიორიტეტების შერჩევის საფუძველი და არგუმენტები არის შემდეგი კრიტერიუმები:

მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები;
თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებები;
რეგიონული განვითარების სტრატეგიასთან შესაბამისობა;
ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის მიზნებთან შესაბამისობა.

I კრიტერიუმი

როგორც ზემოთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გამოკითხვის შედეგების ანალიზისას ვნახეთ, ყველაზე მწვავე პრობლემებად დასახელებულია გაუმართავი-ამორტიზებული შიდა გზები (26,9%), სასმელი წყლით მომარაგება (22%) და დაბალი სოციალური დახმარება (13,6%), რომელიც მათივე აზრით უნდა მოაგვაროს ადგილობრივმა ხელისუფლებამ. მწვავედ დგას ასევე გაზმომარაგების (10,2%), დასუფთავების (8%), და გარე განათების (4,5%) საკითხები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაზმომარაგების საკითხების მოგვარება არ შედის ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებში, ამდენად ის არ შეიძლება თვითმმართველობის მოსაგვარებელ პრიორიტეტთა ნუსხაში შევიტანოთ. რესპონდენტების მიერ დასახელებული პრობლემების ანალიზისას ჩანს, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, ძირითადად, საყოფაცხოვრებო პრობლემები აწუხებთ. რაც შეეხება გზების რეაბილიტაციის, სასმელი წყლით მომარაგებისა და სოციალური დახმარების საკითხებს აშკარა პრიორიტეტია, როგორც ქალაქის ასევე სოფლის მოსახლეობისათვის.

II კრიტერიუმი

თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებები;

საქართველოს კონსტიტუციის მე–2 მუხლის მე–4 პუნქტის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' ევროპული ქარტიის საფუძველზე მიღებულია ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონი. ამ კანონოთ, კერძოდ მისი 16–ე მუხლით განსაზღვრულია თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებები, რომლებსაც ის

ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. ზემოთ ხსენებული კანონის 16–ე მუხლის მ–2 პუნქტის, ზ), მ), ნ), რ), ს) ქვეპუნქტების მიხედვით, ნებისმიერი თვითმმართველი ტერიტორიული ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს შემდეგი საკითხების (ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვის) ორგანიზება:

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა;

ეფექტური წყალმომარაგების სისტემის ორგანიზება;

მოსახლეობის კეთილდღეობისკენ მიმართული სოციალური პროგრამების (მათ შორის ერთჯერადი სოციალური დახმარებების) განხორციელება;

დასახლებებში ქუჩების დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება.

III კრიტერიუმი

საქართველოს რეგიონული განვითარების 2010–2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიასთან შესაბამისობა;

საქართველოს მთავრობის, 2010 წლის 25 ივნისის, N172 დადგენილებით განსაზღვრულია საქართველოს რეგიონული განვითარების 2010–2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია. ამ დოკუმენტის მე–3 თავის: ,,მუნიციპალური მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება“ მიხედვით, პრიორიტეტულ ამოცანებს წარმოადგენს:

წყალმომარაგების სექტორის განვითარება;

მუნიციპალური ნარჩენების მართვა;

სატრანსპორტო სისტემის განვითარება.

IV კრიტერიუმი

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის მიზნებთან შესაბამისობა;

2009 წელს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულია ,,ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი’’, სადაც მოცემულია სახელმწიფოს განვითარების საშუალოვადიანი სტრატეგია 2010–2013 წლებისთვის. ამ დოკუმენტის, კერძოდ სხვადასხვა სამინისტროს სტრატეგიულ გეგმათა ანალიზის საფუძველზე იკვეთება შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

ინფრასტრუქტურის, მათ **შორის სატრანსპორტო და წყალმომარაგების სისტემების განვითარება;**

ეკოლოგიური პრობლემები, მათ **შორის დასუფთავებასა და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხები;**

მოსახლეობის სოციალური პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებული პროგრამები, სადაც ნაგულისხმევია **ერთჯერადი სოციალური დახმარებებიც.**

აღნიშნული არგუმენტები (კრიტერიუმები) იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრობლემატური საკითხების მოგვარება პრიორიტეტულია როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ხელისუფლებისათვის;

5.2. პრობლემების ანალიზი შერჩეული სფეროების (პრიორიტეტების) მიხედვით

5.2.1. ადგილობრივი მნიშვნელობის გზები

5.2.1.1. ძირითადი პრობლემის აღწერა

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა მხოლოდ თვითმმართველი ერთეულის კომპეტენციაა (საკუთარი უფლებამოსილებაა).

მიუხედავად იმისა, რომ 2005 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის შემდგომ მკვეთრად გაიმიჯნა ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი დამოუკიდებელი გახდა, ადგილობრივ თვითმმართველობებს საქართველოში არც რეფორმამდე და არც რეფორმის შემდგომ რეალურად არ გააჩნიათ საკმარისი საკუთარი ფინანსური სახსრები, რათა საკუთარი უფლებამოსილებანი სრულად შეასრულონ. თვითმმართველობათა ძირითადი ნაწილი ცენტრალური ხელისუფლებისგან მიღებულ ტრანსფერებზეა დამოკიდებული და აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების უმეტესი ნაწილი რეგიონებში, კონკრეტულად ამ შემთხვევაში კი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არცთუ სახარბიელო მდგომარეობაშია. მაგ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პასპორტის თანახმად, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სიგრძე ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 591 კმ.-ია. აქედან <u>ასფალტირებულია</u> 351 კმ., <u>მოხრეშილია</u> - 240კმ. როგორც ვხედავთ, გზების მნიშვნელოვანი ნაწილი (40,6%) მოხრეშილია და საჭიროებს შავ საფარს.

5.2.1.2. ძირითადი პრობლემის გამომწვევი მიზეზები

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების თანამედროვე სტანდარტებთან შეუსაბამობის ძირითადი გამომწვევი მიზეზები შეიძლება ოთხ ძირითად ჯგუფად დაიყოს:

1. არასაკმარისი ფინანსური რესურსები;
2. საკადრო პრობლემები ადგილებზე;
3. შესაბამისი სტანდარტების არარსებობა;
4. მიმწოდებელთა კვალიფიკაციის არასათანადო დონე.

- ✓ **არასაკმარისი ფინანსები**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკუთარი შემოსავლების სიმწირის გამო მუნიციპალიტეტი ვერ ახერხებს საკუთარი უფლებამოსილებების (ამ შემთხვევაში კი ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა და შენახვა), სრულად განხორციელებას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გზის მშენებლობა და შენახვა ადგილობრივ ინფრასტრუქტურათა შორის, განსახორციელებლად ერთ–ერთი ყველაზე ინვესტიციატევადი რესურსია და შესაბამისად, ეს სფერო ადგილობრივ თვითმმართველობებს არასაკმარისი ფინანსების პირობებში საკმაოდ მძიმე ტვირთად აწევთ.

- ✓ **საკადრო პრობლემები ადგილებზე**

აღნიშნული სფეროს მოუწესრიგებლობის ერთ–ერთი გამომწვევი ფაქტორია კვალიფიციური კადრების სიმცირე ადგილებზე. უმეტესად რეგიონებში ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს არ გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია, რაც თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამის სამშენებლო-საინჟინრო დაპროექტებას უზრუნველყოფდა. სამუშაოების დაგეგმვა და განხორციელება ძირითადად ძველი (შემორჩენილი) კადრების პირად გამოცდილებაზეა აგებული.

- ✓ **შესაბამისი სტანდარტების არარსებობა**

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების დაპროექტებისას არ არსებობს რაიმე თანამედროვე სტანდარტი ან ინსტრუქცია, რითაც შეიძლება გაიზომოს შემდგომ შესრულებული სამუშაოს ხარისხი. თვითმმართველობები უმეტესად ეყრდნობიან იმ ერთეული პიროვნებების გამოცდილებას, რომლებიც ამ სფეროში წლებია მუშაობენ ან უკეთეს შემთხვევაში იყენებენ საბჭოთა კავშირის დროინდელ 1975-85 წლებში დამუშავებულ ე.წ. СНИП -ებს (Строительные нормы и правила). შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ინსტრუქციები საკმაოდ მოძველებულია ტექნიკურად და არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

- ✓ **მიმწოდებელთა კვალიფიკაციის არასათანადო დონე**

მომსახურების მიმწოდებელ კომპანიათა ძირითადი ნაწილი, რომელთაც კვალიფიციური კადრები და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გააჩნიათ, ძირითადად დედაქალაქსა და მსხვილ ქალაქებშია დისლოცირებული. აღნიშნული კომპანიები შესასრულებელი სამუშაოს სიმცირის გამო რეგიონებსა და პერიფერიებში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს ნაკლებად ახორციელებენ. გამომდინარე აქედან შეიძლება ითქვას, რომ რეგიონებში მოქმედი სამშენებლო კომპანიები დაბალი კვალიფიციურობით ხასიათდებიან, რაც ადგილობრივი მნიშვნელობის გზების დაბალი ხარისხიანობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია.

5.2.1.3. ძირითადი პრობლემის უარყოფითი გავლენა გარემოზე

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების თანამედროვე სტანდარტებთან შეუსაბამობა უარყოფით გავლენას ახდენს როგორც ადგილობრივ ხელისუფლებაზე, ასევე ადგილობრივ მოსახლეობასა და ბიზნესსექტორზე.

უარყოფითი გავლენა:

თვითმმართველობის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი - ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოუწესრიგებლობა მნიშვნელოვნად აფერხებს მუნიციპალიტეტით მსხვილი ინვესტორების დაინტერესებას და ზოგადად მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას;

ტურიზმის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი - მოუწესრიგებელი და გაუმართავი გზები აფერხებს ტურიზმის განვითარებას მუნიციპალიტეტში. ამ პირობებში მუნიციპალიტეტი ნაკლებად მიმზიდველი ხდება ტურისტებისათვის. ამასთან, გართულებულია ტურისტული მარშრუტების დაგეგმარება;

სატრანსპორტო საშუალებების მაღალი ცვეთა - გამომდინარე იქიდან, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის გზები მოუწესრიგებელია, მასზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებები განიცდიან მაღალ ცვეთას და ხშირად გამოდიან მწყობრიდან;

მაღალი ფინანსური დანახარჯები გადაადგილებისთვის - გამომდინარე იქიდან, რომ მაღალია სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა ეს გარემოება აძვირებს გადაადგილების ღირებულებას;

დროის დანახარჯი - გარდა ფინანსური დანახარჯებისა, აღსანიშნავია ასევე დროის დიდი დანახარჯი, რაც მოუწესრიგებელ გზებზე გადაადგილებისას არის საჭირო;

გადაადგილების არაკომფორტული გარემო - ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გაუმართაობა არაკომფორტულ გარემოს ქმნის როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე ჩასული ტურისტებისათვის;

სამგზავრო გადაზიდვების არათანაბარი ხელმისაწვდომობა - გამომდინარე იქიდან თუ რამდენად დაზიანებულია ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, შესაძლებელია მუნიციპალიტეტის გარკვეულ სოფლებს არ გააჩნდეთ სამგზავრო გადაზიდვების ხელმისაწვდომობა.

5.2.2. წყალმომარაგება

5.2.2.1. ძირითადი პრობლემის აღწერა

თვითმმართველობაში მცხოვრები მოსახლეობა მის წინაშე მდგარ ძირითად პრობლემად სასმელი და საკანალიზაციო სისტემის ხარვეზს ასახელებს.

აღნიშნული პრობლემის მოგვარება 2008 წლამდე წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას. კერძოდ, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის მე-16 მუხლის ,,მ“ პუნქტის თანახმად წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვების ორგანიზება ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენდა. წყლის მიწოდების ტარიფების დადგენაც ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ხორციელდება.

2008 წლიდან დაიწყო წყლის სფეროს დარეგულირება, რის შედეგადაც თვითმმართველობების ექსკლუზიური უფლებამოსილებებიდან ამოღებულ იქნა წყლით მომარაგებისა და შესაბამისად ტარიფის დადგენის უფლებამოსილება. წყლის მიწოდებაზე პასუხისმგებელი გახდა ახლადშექმნილი სახელმწიფო შპს ,,დასავლეთის წყალი“ და შპს ,,აღმოსავლეთის წყალი“, ხოლო სატარიფო რეგულირება საქართველოს ენერგეტიკისა და წყლის მარეგულირებელი კომისიის უფლებამოსილებად განისაზღვრა.

2008 წლის დასაწისიდან თვითმმართველობების მიერ წყლის მიმწოდებელი კომპანიებისათვის ფინანსური სუბსიდიის გაწევა არამიზნობრივ ხარჯად აღირიცხება. აღნიშნულმა კომპანიამ პირველ რიგში დაიწყო შესაბამისი ქონების საკუთრებაში აღება და მის ბალანსზე ასახვა. ამ პროცესში საკმაოდ დიდი პრობლემები წარმოიშვა, რადგან წყლის სისტემები მხოლოდ

სახელმწიფო შპს-ს საკუთრებაში არ იყო და ამ სისტემების რეაბილიტაციისათვის თვითმმართველობებს საკმაოდ სოლიდური თანხები ჰქონდათ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გახარჯული, ხოლო შექმნილი ქონება ადგილობრივ საკუთრებას წარმოადგენდა.

დღემდე არსებობს პრობლემები ქონების გამიჯვნასთან დაკავშირებით. თვითმმართველობების ნაწილი თანახმაა აღნიშნული ქონება შპს ,,საქართველოს წყალს“ უსასყიდლოდ გადასცეს, თუმცა ,,ადგილობრივი ქონების შესახებ“ კანონის თანახმად იკრძალება ადგილობრივი ქონების სახელმწიფო შპს-ზე უსასყიდლო ფორმით საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემა. თვითმმართველობის ნაწილი კი მიიჩნევს, რომ მათ მიერ შექმნილი ქონების უსასყიდლოდ ან სიმბოლურ ფასად სახელმწიფო შპს-ზე გადაცემა თვითმმართველობის ქონებრივი ინტერესების შელახვაა და აღნიშნულ ქონებაში შპს ,,საქართველოს წყალმა“ ადგილობრივ თვითმმართველობას თანხა უნდა გადაუხადოს.

პრობლემას წარმოადგენს თვიმმართველობის სოფლებში სასმელი და საირიგაციო წყლის მიწოდების საკითხი. აღნიშნულ ტერიტორიულ ერთეულებში გაურკვეველია სასმელი წყლის და კანალიზაციის სისტემების საკუთრების ფორმა. უმეტეს შემთხვევებში ეს ქონება არავის ბალანსზე არ არის აყვანილი. სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია წლების განმავლობაში ადგილობრივი ხელისუფლების სახსრებით და მოსახლეობის მიერ აკრეფილი თანხებით ხორციელდებოდა. თუმცა აღნიშნული ნაგებობები სახელმწიფო საკურებაში არსებულ მიწაზე არის აგებული.

შპს ,,საქართველოს წყალი“ არ ახდენს სოფლად არსებული წყლის სისტემის საკუთარ ბალანსზე აყვანას და აღნიშნულ ტერიტორიებზე წყლის მიწოდების უზრუნველყოფას.

გაუგებარია თუ ვის პრეროგატივას წარმოადგენს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის წყლით მომარაგება. ერთი მხრივ თვითმმართველობების უფლებამოსილებებიდან ამოღებულ იქნა მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფა, მეორე მხრივ კი შპს ,,საქართველოს წყალი“ არ ახდენს სოფლად არსებული წყლის სისტემის საკუთარ ბალანსზე აყვანას და მოსახლეობის წყლით მომარაგებას.

პრობლემის სიმწვავიდან გამომდინარე თვითმმართველობებს უწევთ წყლის პრობლემის მოგვარებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხების გაწევა, რაც შესაძლებელია თვითმმართველობის ,,ნებაყოფლობით“ უფლებამოსილებად იქნეს განხილული. თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ისეთ საკითხზე, რომელიც კანონის თანახმად არ განეკუთვნება ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილებას და არ არის აკრძალული თვითმმართველი ერთეულისათვის.

5.2.2.2. ძირითადი პრობლემის გამომწვევი მიზეზები

ძირითადი პრობლემის გამომწვევი მიზეზები შესაძლებელია დავყოთ 3 ძირითად ჯგუფად:

1) არასაკმარისი ფინანსები
2) ადგილობრივი ხელისუფლების არასათანადო მენეჯმენტი
3) საკანონმდებლო ბაზაში არსებული პრობლემები

არასაკმარისი ფინანსები -

როგორც 2.8.. თავში აღვნიშნეთ ადგილობრივი ხელისუფლების დამოუკიდებლად განსაკარგი შემოსავლები ძირითადად მიმდინარე ხარჯების დაფინანსებას ხმარდება და არ რჩება თანხები კაპიტალური დანიშნულების პროექტების განხორციელებისათვის.

თვითმმართველობების უმეტესობაში არაფინანსური აქტივების ზრდის დაფინანსება მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ხორციელდება.

წყლის მიწოდების საფასურის ამოღება სოფლის მოსახლეობიდან თვითმმართველობის მიერ შეუძლებელია. წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე გაწეული თანხების მოსახლეობიდან საფასურის სახით კომპენსირება არ ხდება.

ადგილობრივი ხელისუფლების არასათანადო მენეჯმენტი -

თვითმმართველობაში არსებული სამსახურები არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას სოფლად არსებული წყლის სისტემის ხარვეზების შესახებ. ეს ნაწილობრივ გამოწვეულია ამ საკითხის თვითმმართველობების უფლებამოსილებებიდან ამოღებით.

გამგეობებში წყლის სისტემების მცოდნე კვალიფიციური კადრების მოძიება საკმაოდ რთულია, რაც გამოწვეულია თვითმმართველობების საჯარო მოხელეების დაბალი სახელფასო ბადით.

სამსახურებში არსებული ინფორმაცია მოძველებულია და მისი განახლება საკმაოდ დიდ რესურსებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად თვითმმართველობებს არ გააჩნიათ ზუსტი ინფორმაცია პრობლემის მოგვარებისათვის საჭირო ფინანსური რესუსრების შესახებ.

არ არსებობს წყლის სისტემის რეაბილიტაციის დროს გამოსაყენებელი სახელმწიფო სტანდარტი ან რეგულაცია.

საკანონმდებლო ბაზაში არსებული პრობლემები -

საქართველოს კანონმდებლობით არ არის ზუსტად დარეგულირებული თუ ვის კომპეტენციას წარმოადგენს სოფლად არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაცია და მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფა.

წლების განმავლობაში ვერ მოხდა ადგილობრივი წყლის რესურსის განსაზღვრა.

საკანონმდებლო დონეზე არ არის დარეგულირებული თუ როგორ უნდა მოხდეს ქალაქად, მუნიციპალურ საკუთრებაში, არსებული წყლის სისტემის შპს ,,საქართველოს წყალზე“ გადაცემა.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხდება ჭაბურღილების და რეზერვუარის მოწყობის დაფინანსება, ხოლო მოსახლეობის მიერ წყლის ამოსაქაჩად საჭირო ელ. ენერგიის ღირებულების გადახდა. იურიდიულად გაურკვეველია თუ ვინ ითვლება წყლის მიმწოდებლად და საჭიროებს თუ არა აღნიშნული საქმიანობა ნებართვას.

5.2.2.3. ძირითადი პრობლემის უარყოფითი გავლენა გარემოზე

აღნიშნული პრობლემით ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად წუხდება ბიზნესსექტორი და ადგილობრივი ხელისუფლების აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანო (როგორც მომხმარებელი).

უარყოფითი გავლენა:

ანტისანიტარია და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენა - წყლის არასაკმარისი რაოდენობითა და არასათანადო ხარისხით მიწოდება ზრდის მოსახლეობაში ეპიდემიის საფრთხეს. აღნიშნული კი იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას;

სასოფლო–სამეურნეო საქმიანობის წარმოების ხელისშემშლელი ფაქტორი - სარწყავი წყლის არასათანადო რაოდენობით მიწოდება მოსავლის მიღების საფრთხეს ქმნის;

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორი - ტურისტული ინფრასტრუქტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ჰიგიენური საკითხების მოგვარება, რომელიც წყლისა და საკანალიზაციო სისტემის გამართვის გარეშე შეუძლებელია.

5.2.3. ერთჯერადი სოციალური დახმარებები

5.2.3.1. ძირითადი პრობლემის აღწერა

საქართველოში სოციალურ პროგრამებზე (მათ შორის ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამებზე) პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც ცენტრალურ ხელისუფლებას, ასევე ადგილობრივ თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებს. ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან სოციალურ პროგრამებს ძირითადად ახორციელებს სოციალური მომსახურების სააგენტო თავისი ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით. ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან სოციალური პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი სამსახურები.

სოციალური დახმარება – ნებისმიერი სახის, ფულადი ან არაფულადი ხასიათის სარგებელი, რომელიც განკუთვნილია სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირისათვის, ღატაკი ოჯახისათვის ან უსახლკარო პირისათვის.

სოციალური დახმარებების პროგრამებს საქართველოში არეგულირებს ეროვნული კანონმდებლობა. მათ შორის საქართველოს კანონი ,,სოციალურ დახმარებათა შესახებ“. სოციალური დახმარების დაფინანსების წყაროებია:

- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები;
- ბენეფიციარის ან მისი წარმომადგენლის მიერ გადახდილი თანხა;
- შემოწირულებები;
- სხვა წყაროები, რომლებიც დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით.

ფულადი სოციალური დახმარების დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები უფლებამოსილი არიან, ამ კანონით განსაზღვრული სოციალური დახმარების სახეების შესაბამისად, დამატებით დააფინანსონ თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე ამავე კანონით განსაზღვრული სოციალური დახმარებები, რაშიც მოიაზრება მათ შორის ერთჯერადი სოციალური დახმარებები.

,,ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ'' ორგანული კანონის თანახმად თვითმმართველობა ვალდებულია საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელოს სხვადასხვა სოციალური პროგრამები (მუხლი 16.) და აქვე მოიაზრება ერთჯერადი სოციალური დახმარებები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზისას გამოვლენილი ერთ-ერთი პრიორიტეტული პრობლემაა **ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამების არაეფექტურობა და გაუმჭვირვალობა.**

ერთჯერადი სოციალური დახმარებების პროგრამები ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს: 100 და მეტი წლის მოხუცთა დახმარება, ომის ვეტერანთა დაკრძალვა, უპატრონო ბავშვების დახმარება, ლტოლვილთა დაკრძალვა, სადღესასწაულო დღეების დახმარება, მზრუნველობას მოკლებულთა უფასო სასადილო და ა.შ. აღნიშნული პროგრამები მეტწილად ერთჯერად ფულად დახმარებას წარმოადგენს და ვერ ახდენს მდგრად ზემოქმედებას/ეფექტს მოწყვლად ფენებზე. გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტის მდგომარეობიდან გამომდინარე ეს დახმარებები სრულად ვერ მოიცავს ყველა სოციალურად დაუცველს.

როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ასევე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტებში არ არის ასახული ერთჯერადი სოციალური დახმარებისათვის გასაწევი სავარაუდო ხარჯების გაწევის მექანიზმები, რაც მიანიშნებს ბიუჯეტების გაუმჭვირვალობაზე და საჯარო ფინანსების მოსალოდნელ არაეფექტურ ხარჯვაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ერთჯერადი სოციალური დახმარებების პროგრამებისთვის როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ბიუჯეტებიდან ხდება გარკვეული ხარჯების გაწევა (ბიუჯეტის სარეზერვო ფონდებიდან), ერთი მხრივ ბუნდოვანი რჩება ერთჯერადი სოციალური დახმარებების საჭიროების მქონე ბენეფიციარების შერჩევის მექანიზმები და მეორე მხრივ ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის არ არის გამიჯნული თუ ბენეფიციართა რომელ კატეგორიას ეხმარება თითოეული მათგანი. აღნიშნული ფაქტორი განაპირობებს ხშირ შემთხვევაში ერთი და იგივე ბენეფიციარის დახმარებას ორივე მხრიდან და გამომდინარე აქედან ბენეფიციართა ნაწილი ერთჯერადი სოციალური დახმარების მიღმა რჩება. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ადგილი აქვს საჯარო ფინანსების არაეფექტურად ხარჯვას, აღნიშნული პროგრამების ბენეფიციარებთან მიმართებაში სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების გაზრდილ ალბათობას და ერთჯერადი სოციალური დახმარების საჭიროების მქონე პირების უკმაყოფილებას.

5.2.3.2. ძირითადი პრობლემის გამომწვევი მიზეზები

როგორც აღვნიშნეთ, ზუგდიდის მუნიციპალიეტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზისას გამოვლენილი ერთ-ერთი პრიორიტეტული პრობლემაა **ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამების არაეფექტურობა და გაუმჭვირვალობა.** პრობლემის გაანალიზებისას გამოვლენილ იქნა ის ძირითადი მიზეზები, რომლებიც განაპირობებს აღნიშნული საკითხის აქტუალურობას. პრობლემის გამომწვევი მიზეზები კომპლექსური ხასიათისაა და დაკავშირებულია როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ხელისუფლების

არაკოორდინირებულ ქმედებებთან. კერძოდ, აღნიშნული პრობლემის გამომწვევი მიზეზები სამ ძირითად მიმართულებად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. **ფინანსებთან დაკავშირებული საკითხები;**

   ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლების სიმწირის გამო ვერ ხორციელდება ერთჯერადი სოციალური დახმარების საჭიროების მქონე მოსახლეობის უმეტესი ნაწილის დაკმაყოფილება;

   კანონით განსაზღვრული გადასახადებიდან მუნიციპალურ ბიუჯეტში მიემართება მხოლოდ ქონების გადასახადი, რის გამოც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ვერ ხერხდება ერთჯერადი სოციალური საჭიროების მქონე მოსახლეობის პრობლემების რეალური მოგვარება;

   ერთჯერადი სოციალური პროგრამების განსახორციელებლად საჭირო სავარაუდო თანხები არ არის ასახული მუნიციპალური ბიუჯეტის გეგმაში, რაც შემდგომში ვერ უზრუნველყოფს ერთჯერადი სოციალური დახმარების საჭიროების მქონე ბენეფიციარების პრობლემების რეალურად მოგვარებას;

   ერთჯერადი სოციალური დახმარებების პროგრამები მეტწილად ერთჯერად ფულად დახმარებას წარმოადგენს და ვერ ახდენს მდგრად ზემოქმედებას/ეფექტს მოწყვლად ფენებზე.

2. **მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხები;**

   მუნიციპალურ დონეზე არ არსებობს სოციალური აგენტების ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფდა ერთჯერადი სოციალური დახმარების საჭიროების მქონე პირების იდენტიფიცირებას;

   მუნიციპალურ დონეზე არ არსებობს ადგილობრივი სტატისტიკური მონაცემები, რაც ხშირ შემთხვევაში ვერ განაპირობებს რეალურად არსებული სიტუაციის ადეკვატურად ასახვას;

   არ არსებობს მუნიციპალურ დონეზე ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ერთჯერადი სოციალური დახმარების საჭიროების მქონე ბენეფიციარებთან მიმართებაში სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების პრევენციას;

   არ არსებობს რაიმე გამიჯვნის მექანიზმი ერთჯერადი სოციალური დახმარებების პროგრამებზე, სოციალური მომსახურების სააგენტოს ზუგდიდის მუნიციპალური განყოფილება ბენეფიციართა რომელ კატეგორიაზეა ორიენტირებული და ადგილობრივი ხელისუფლება რომელზე.

3. **საკანონმდებლო საკითხები;**

   საკანონმდებლო დონეზე ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის არ არის გამიჯნული თუ ბენეფიციართა რომელ კატეგორიას ეხმარება ერთჯერადი სოციალური პროგრამებით თითოეული მათგანი;

   არც სახელმწიფო და არც ზუგდიდის მუნიციპალური ბიუჯეტის გეგმებში არ არის ასახული ერთჯერადი სოციალური დახმარებების პროგრამებისათვის გასაწევი ხარჯების სავარაუდო მოცულობა.

5.2.3.3. ძირითადი პრობლემის უარყოფითი გავლენა გარემოზე

ზემოთ დასახელებული მიზეზები განაპირობებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ერთჯერადი სოციალური დახმარებების პროგარმების არაეფექტურობას და გაუმჭვირვალობას, რასაც თავის მხრივ არაერთ უარყოფით შედეგამდე მივყავართ. პირველ რიგში ეს პრობლემა ნეგატიურად აისახება მოცემული მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალ–ეკონომიკურ მდგომარეობაზე. კერძოდ, ის ძირითადი უარყოფითი შედეგები, რომლებიც გამოწვეულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ერთჯერადი სოციალური დახმარებების პროგრამებთან დაკავშირებული პრობლემებით, შემდეგნაირად გამოიყურება:

მოცემული პროგრამის ბენეფიციართა დიდი უმეტესობა დახმარების გარეშე რჩება;

სახეზეა ერთჯერადი სოციალური დახმარების საჭიროების მქონე უკმაყოფილო მოსახლეობის გაზრდილი რაოდენობა;

ხშირ შემთხვევაში ერთჯერადი სოციალური დახმარებებისთვის გამოყოფილი თანხები კონკრეტულ ბენეფიციარზე ვერ უზრუნველყოფს მისი პრობლემის რეალურად მოგვარებას;

ერთჯერადი სოციალური დახმარებების სიმცირე ვერ უზრუნველყოფს ადგილზე სოციალური ფონის გაუმჯობესებას.

5.2.4. მუნიციპალური ნარჩენების მართვა

5.2.4.1. ძირითადი პრობლემის აღწერა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტს ამჟამად სოფელ ჭითაწყარის ტერიტორიაზე გააჩნია მოქმედი ნაგავსაყრელი, რომლის ფართი შეადგენს 6 ჰა-ს. იგი მდებარეობს ქალაქის ცენტრიდან 10 კილომეტრში, ხოლო უახლოესი დასახლებული პუნქტიდან 2კმ.-ს დაშორებით. ნაგავსაყრელში ყოველწლიურად შეიტანება 40-45 ათასამდე კუბური მეტრი მყარი საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენი.

ამჟამად მოქმედი ნაგავსაყრელი პოლიგონი თითქმის გადავსებულია. ვინაიდან გრუნტის წყლების არსებობის და ნიადაგის სპეციფიკურობის გამო ვერ ხერხდება შეზიდული ნარჩენების კომპოსტირება-დამარხვა, ნაგავსაყრელის ეკოლოგიური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ამჟამად მოქმედი ნაგავსაყრელი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხები ჯერ კიდევ დაურეგულირებელია. საბჭოთა პერიოდის დაშლის შემდეგ არ მომხდარა აღნიშნული სფეროს სისტემური რეაბილიტაცია, ამორტიზებულია ნაგვის გამტანი მანქანები, სერიოზულ პრობლემად რჩება ნაგავსაყრელის კეთილმოწყობისა და ნარჩენების უტილიზაციის საკითხები. ასევე დაურეგულირებელია ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები. როგორც ცნობილია, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალური ნარჩენების გატანა და მისი უტილიზაცია წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებას, რაც გულისხმობს აღნიშნული მომსახურების უზრუნველყოფას ადგილობრივი ფინანსებით. გამომდინარე აქედან პრობლემატურ საკითხად ასევე რჩება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებლის მოქნილი სისტემის შემუშავება.

5.2.4.2. ძირითადი პრობლემის გამომწვევი მიზეზები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ნარჩენების გატანა-უტილიზაციის სფეროში პრობლემების გამომწვევი ძირეული მიზეზები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

1) სტანდარტიზაციის (სტანდარტების) საკითხები;
2) არსაკმარისი ფინანსური რესურსები;
3) მართვის (მენეჯმენტის) პრობლემები.

სტანდარტიზაციის (სტანდარტების) საკითხები;

ეროვნულ დონეზე დასახვეწია სტანდარტიზაციის სისტემა. საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს ეროვნული სტანდარტი ნარჩენების მართვის სფეროში;
მუნიციპალურ დონეზე არ არსებობს ინსტრუქციები, ტექნიკური ხასიათის ნორმები, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება დაეყრდნოს შესაბამისი სამსახური;
სტანდარტების გამოყენების ნებაყოფლობითობის პირობებში, შესამუშავებელია ისეთი მექანიზმი, რომლითაც გარანტირებული იქნება შემუშავებული ინსტრუქციების რეალური გამოყენება.

არასაკმარისი ფინანსური რესურსები;

მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობის სიმწირიდან გამომდინარე არასაკმარისია ნარჩენების გატანა-უტილიზაციისთვის გამოყოფილი თანხები;
დასახვეწია ნარჩენების გატანა-უტილიზაციის მოსაკრებლის ადმინისტრირების სისტემა. არ ხდება აღნიშნული სერვისის ღირებულების სისტემური (კომპლექსური) ანალიზი. შესაბამისად გადახედვას საჭიროებს აღნიშნული სფეროს მომსახურებისთვის მუნიციპალიტეტის მიერ შემოღებული ტარიფის ოდენობა.
არ არსებობს მოსახლეობიდან ტარიფის ამღების (ადმინისტრირების) ეფექტური სისტემა.

მართვის (მენეჯმენტის) პრობლემები;

მუნიციპალურ დონეზე მწირია საკადრო-რესურსული პოტენციალი, მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს არ გააჩნიათ ინფორმაცია, თუ რა მიდგომები და მართვის მოდელები არსებობს ევროპული ქვეყნების მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მართვის სფეროში;
ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილია ნარჩენების გატანა-უტილიზაციისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები;
ნარჩენების ეფექტურად მართვის სფეროში ასევე მწირია კერძო ოპერატორების გამოცდილება და რესურსული პოტენციალი.

5.2.4.3. ძირითადი პრობლემის უარყოფითი გავლენა გარემოზე

ქვემოთ მოცემულია ის უარყოფითი შედეგები (გავლენა), რომელიც პირდაპირ თუ ირიბად წარმოიშობა ნარჩენების გატანა-უტილიზაციის პრობლემის არსებობისას:

ხელი ეშლება მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელებას და სისუფთავის დაცვას;

იზრდება მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების რისკი;

იზრდება სხვადასხვა სახის ეპიდემიოლოგიური დაავადებების გავრცელების რისკი;

ხელი ეშლება მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებას;

ფერხდება თვითმმართველობის სოციალურ-ეკონომიკური განვითრება.

5.3. პროგრამის მიზნები, ამოცანები, საქმიანობები

5.3.1. ადგილობრივი მნიშვნელობის გზები - პრიორიტეტი №1

მიზანი 1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზები შეესაბამება თანამედროვედ აღიარებულ სტანდარტებს

ამოცანა 1.1. ფინანსებთან დაკავშირებული საკითხები გამოსწორებულია

საქმიანობა:

1.1.1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გაზრდილია საკუთარი შემოსავლები;

1.1.2. გაზრდილია ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობასა და რემონტზე გაწეული ხარჯები.

ამოცანა 1.2. კვალიფიციურ კადრებთან დაკავშირებული საკითხები გამოსწორებულია

საქმიანობა:

1.2.1. განსაზღვრულია კონკრეტული საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამის ვაკანტურ თანამდებობებზე ახალი კადრების მისარებად;

1.2.2. შესაბამის თანამდებობებზე მიღებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანები;

1.2.3. გაზრდილია მათი ანაზღაურება მათი მოტივაციის ამაღლებისა და კადრების გადინებისგან თავის არიდების მიზნით.

ამოცანა 1.3. შესაბამისი სტანდარტების არსებობა

საქმიანობა:

1.3.1. ეროვნულ დონეზე შემუშავებულია ზოგადი ხასიათის ის სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები, რომლებიც საჭიროა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობისა და შენახვისათვის;

1.3.2. მუნიციპალიტეტის საპროექტო ორგანიზაციებში დანერგილია თანამედროვე სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტაციები;

1.3.3. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა და შეკეთება სწორედ ამ სტანდარტებზე დაყრდნობით ხორციელდება.

ამოცანა 1.4. მიმწოდებელთა კვალიფიკაციის დონე გაზრდილია
საქმიანობა:

1.4.1. გაზრდილია მიმწოდებელ ორგანიზაციათა კვალიფიკაციის დონე;
1.4.2. გაუმჯობესებულია მიმწოდებელ ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა.

5.3.2. წყალმომარაგება - პრიორიტეტი №2

მიზანი 2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სასმელი და საირიგაციო წყლის მიწოდება შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს

ამოცანა 2.1. ფინანსებთან მიმართებაში დაკავშირებული საკითხები გამოსწორებულია
საქმიანობა:

2.1.1. ცენტრალურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების გამართვა საკუთარი შემოსულობების ზრდასთან დაკავშირებით. ამ პროცესში შესაძლებელია ჩართულნი იყვნენ გუბერნატორის აპარატი და თვითმმართველობის ასოციაცია. საკითხის დადებითად გადაჭრას ხელს შეუწყობს საქართველოს მიერ თვითმმართველობის ქარტიით ნაკისრი ვალდებულების შესრულება;
2.1.2. მუნიციპალური განვითარების ფონდიდან კაპიტალური პროექტებისათვის დამატებითი სახსრების მოზიდვა. თვითმმართველობამ უნდა მოამზადოს გამართული პროექტები და მოახდინოს მათი ლობირება ცენტრალურ დონეზე;
2.1.3. საკუთარი შემოსულობების ამოღების მაჩვენებლის ზრდა. პირველ რიგში მოხდება საგადასახადოსთან ურთიერთობის აწყობა რათა საჭირო ინფორმაციის მიღება არ გართულდეს. მეორე მხრივ უნდა გაიზარდოს ადგილობრივი მოსაკრებლების მობილიზების მაჩვენებელია, რაც ადმინისტრირების გაუმჯობესებით იქნება შესაძლებელი;
2.1.4. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული სახსრების რაციონალური გამოყენება - პრივატიზების პროცესიდან მიღებული თანხის მიმართვა უნდა მოხდეს არაფინანსური აქტივების ზრდის დასაფინანსებლად.

ამოცანა 2.2. მუნიციპალიტეტში შექმნილია მენეჯმენტის მოქნილი და სისტემური მექანიზმები
საქმიანობა:

2.2.1. სოფლად არსებული წყლის სისტემების მდგომარეობის ძირეული კვლევა - პირველ რიგში უნდა მოხდეს სოფლად არსებული წყლის სისტემების (სათავე ნაგებობის ჩათვლით) აღრიცხვა და საკუთრების ფორმის გარკვევა. შემდგომ ეტაპზე უნდა განხორციელდეს დეფექტური აქტების შედგენა და პრობლემის მოგვარების ხედვის ჩამოყალიბება;
2.2.2. მუნიციპალური სერვისების ხარისხის სტანდარტის დადგენა - აუცილებელია განისაზღვროს ტექნიკური სტანდარტები, რომელთა მიხედვითაც უნდა განხორციელდეს სარეაბილიტაციო სამუშაოები;

2.2.3. ზედამხედველობის ფუნქციის დახვეწა წყლის სიტემის რეაბილიტაციის მონიტორინგის კუთხით - შესაბამის სამსახურში უნდა არსებობდეს ადამიანი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი წყლის სისტემის რეაბილიტაციისათვის საჭირო სტანდარტების ცოდნა.

ამოცანა 2.3. საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრულია ადგ. თვითმმართველობის კომპეტენცია წყლის სისტემების რეაბილიტაციასთან მიმართებაში

საქმიანობა:

2.3.1. ადგილობრივი წყლის მცნების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრის ლობირება - ადგ. თვითმმართველობამ გუბერნიისა და თვითმმართველობის ასოციაციის მხარდაჭერით უნდა გაუწიოს ლობირება წყლის რესურსის გამოჯვნის საკითხს;

2.3.2. სოფლად წყლის მიმწოდებლის განსაზღვრა საკანონმდებლო დონეზე - ადგ. თვითმმართველობამ გუბერნიისა და თვითმმართველობის ასოციაციის მხარდაჭერით უნდა გაუწიოს ლობირება სოფლად წყლის მიმწოდებელი სუბიექტის დადგენას. თუ ეს ფუნქცია თვითმმართველობის პრეროგატივად განისაზღვრება, მაშინ აუცილებელია შესაბამისი დაფინანსების მოთხოვნა.

5.3.3. ერთჯერადი სოციალური დახმარებები - პრიორიტეტი №3

მიზანი 3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ერჯერადი სოცალური დახმარების პროგრამები ეფექტური და გამჭვირვალეა

ამოცანა 3.1. ფინანსებთან მიმართებაში დაკავშირებული საკითხები გამოსწორებულია.

საქმიანობა:

3.1.1 ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლები გაზრდილია. ამის მისაღწევად გატარებულია მთელი რიგი ღონისძიებები. მათ შორის: გაზრდილია გამოთანაბრებითი ტრანსფერების მოცულობა და აგრეთვე საკუთარი შემოსავლის ძირითადი წყაროს - ქონების გადასახადის განაკვეთი (რა თქმა უნდა, ოპტიმალური მოცულობით). ყოველივე ამის შედეგად გაზრდილია ერთჯერადი სოციალური დახმარებებით დაკმაყოფილებული მოსახლეობის რაოდენობა;

3.1.2 ერთჯერადი სოციალური პროგრამების განსახორციელებლად საჭირო სავარაუდო თანხები ასახულია მუნიციპალური ბიუჯეტის გეგმაში და ერთჯერადი სოციალური დახმარების საჭიროების მქონე ბენეფიციართა მნიშვნელოვანი ნაწილის პრობლემები მოგვარებულია;

3.1.3 თვითმმართველობის ასოციაციის ლობირებითა და წარმომადგენლობითი ორგანოსთან კოორდინირებით გაზრდილია ქონების გადასახადისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განაკვეთი, რითაც მიღწეულია ერთჯერადი დახმარებების უზრუნველსაყოფად ფორმირებული ფულადი ფონდის მოცულობა;

3.1.4 მუნიციპალიტეტის დონეზე შექმნილია ერთჯერადი სოციალური დახმარებების სისტემურად მდგრადი ფინანსური მექანიზმები.

ამოცანა 3.2. მუნიციპალიტეტში შექმნილია მენეჯმენტის მოქნილი და სისტემური მექანიზმები თუ ინსტიტუციები

საქმიანობა:

3.2.1 მუნიციპალიტეტში შექმნილია მუნიციპალური სოციალური სააგენტო, რომელიც დაკომპლექტებულია ადგილობრივი სოციალური აგენტებით და შესაბამისად უზრუნველყოფილია ერთჯერადი სოციალური დახმარების საჭიროების მქონე პირების ზუსტი ნუსხის არსებობა;

3.2.2 ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შექმნილია ადგილობრივი სტატისტიკური მონაცემების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფ სერთჯერადი სოციალური დახმარებების ბენეფიციართა ზუსტ იდენტიფიკაციას.

3.2.3 მუნიციპალურ დონეზე შექმნილია ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ერთჯერადი სოციალური დახმარების საჭიროების მქონე ბენეფიციარებთან მიმართებაში სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების პრევენციას. კერძოდ, შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც ღებულობს გადაწყვეტილებას ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან ერთჯერად სოციალურ დახმარებებზე თანხების გამოყოფასთან დაკავშირებით და ეს სხდომები საჯაროა, სადაც ესწრებიან ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები (ადგილობრივი არასამთავრობო, სათემო მედია ორგანიზაციების წარმომადგენლები.)

3.2.4 გამიჯნულია, ერთჯერადი სოციალური დახმარებების პროგრამებზე, სოციალური მომსახურების სააგენტოს ზუგდიდის მუნიციპალური განყოფილება ბენეფიციართა თუ რომელ კატეგორიაზეა ორიენტირებული/პასუხისმგებელი და ადგილობრივი ხელისუფლება რომელზე.

ამოცანა 3.3. გამჭვირვალეა როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ბიუჯეტებში ერთჯერად სოციალურ დახმარებებთან მიმართებაში

საქმიანობა:

3.3.1 საკანონმდებლო დონეზე განხორციელებულია ცვლილება და გამიჯნულია ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა შორის ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამებზე ბენეფიციართა რომელ კატეგორიაზეა პასუხისმგებელი თითოეული მათგანი;

3.3.2 როგორც სახელმწიფო, ასევე ზუგდიდის მუნიციპალური ბიუჯეტის გეგმებში ცალკე პუნქტად არის გამოყოფილი ერთჯერადი სოციალური დახმარებების პროგრამებისათვის გასაწევი ხარჯების სავარაუდო მოცულობა. ასევე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდში გამოკვეთილია ერთჯერად სოციალურ დახმარებებზე გასაწევი თანხების სავარაუდო მოცულობა.

5.3.4. მუნიციპალური ნარჩენების მართვა - პრიორიტეტი №4

მიზანი 4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ნარჩენების გატანა-უტილიზაციის (ადმინისტრირების) პროცესი შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს (მოთხოვნებს)

ამოცანა 4.1. მოგვარებულია სტანდარტების (სტანდარტიზაციის) საკითხები

საქმიანობა:

4.1.1 ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ ერთობლივი ჯგუფის შექმნა და სტანდარტიზაციის საკითხების საფუძვლიანი კვლევა; – აღნიშნულ აქტივობაში მნიშვნელოვანია სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს როლი, რამდენადაც უნდა განხორციელდეს არსებული საბჭოთა სტანდარტების ძირეული გადახედვა და ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავდეს ეროვნული სტანდარტი ნარჩენების გატანა-უტილიზაციის სფეროში. აღნიშნულ პროცესში ასევე აქტიურად უნდა იყოს ჩართული რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია;

4.1.2 მუნიციპალურ დონეზე მუნიციპალიტეტის მიერ სპეციალური ჯგუფის შექმნა და ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება ნარჩენების გატანა-უტილიზაციის სფეროში; – შემდეგ ეტაპზე მუნიციპალიტეტში შეიქმნება სპეციალური ჯგუფი, რომელიც ძირითადად დაკომპლექტებული იქნება დარგის სპეციალისტებით. ჯგუფის მიერ უნდა მოხდეს ნარჩენების მართვის სფეროში არსებული პრობლემატიკის ძირეული კვლევა და შემუშავებულ იქნეს ტექნიკური რეგლამენტები ნარჩენების გატანა-უტილიზაციის სფეროში. აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტები შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნულ დონეზე მიღებულ ჩარჩო სტანდარტთან. მუნიციპალურ დონეზე შემუშავებული ტექნიკური წესები ოპტიმალურად უნდა იყოს შედგენილი მუნიციპალიტეტის ფინანსური და სხვა სახის რესურსების გათვალისწინებით;

4.1.3 ახლადშემუშავებული ტექნიკური რეგლამენტების (ჩარჩო სტანდარტიდან გამომდინარე) რეალურად გამოყენების ეფექტური ინსტრუმენტის შექმნა; – ამ შემთხვევაში ძალზე მნიშვნელოვანია სტანდარტიზაციის ნებაყოფლობითობის საკითხის ანალიზი, დღეის მდგომარეობით საქართველოში სტანდარტების გამოყენება ზოგადად ნებაყოფლობითია, აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე არსებობს რისკი იმისა, რომ მუნიციპალიტეტის შესაბამისმა ორგანოებმა სხვადასხვა ფაქტორიდან გამომდინარე (მაგ: მეტი ფინანსების ხარჯვა და სხვ.) არ ისურვონ ახლადშემუშავებული ინსტრუქციების გამოყენება. გამომდინარე აქედან, საჭიროა შემუშავდეს ქმედითი მექანიზმი, რომლითაც შესაძლებელი გახდება განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მიერ სტანდარტების (ტექნიკური რეგლამენტების) გამოყენების პერმანენტული მონიტორინგი, რაც შესაბამისი სამართლებრივი აქტით იქნება გამყარებული. (აღნიშნულ პროცესში მუნიციპალიტეტთან ერთად შესაძლებელია ჩაერთოს სამხარეო ადმინისტრაცია, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო).

ამოცანა 4.2. დახვეწილია ნარჩენების გატანა-უტილიზაციისთვის საჭირო ფინანსური სახსრების ფორმირების მექანიზმები

საქმიანობა:

4.2.1 მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების გატანა- უტილიზაციისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის ფინანსური ანალიზი; – პირველ ეტაპზე აუცილებელია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული იმ ტექნიკური საშუალებების ფინანსური აღრიცხვა და მათი საბაზრო ღირებულების დადგენა, რის საფუძველზეც გაკეთდება რეალური სამოქმედო გეგმა სფეროს შემდგომი რეაბილიტაციისთვის;

4.2.2 ნარჩენების გატანა-უტილიზაციის სფეროში დაფინანსების გაზრდის მექანიზმების შემუშავება; – რამდენადაც მუნიციპალური ბიუჯეტი უმეტესწილად სრულყოფილად ვერ უმკლავდება ნარჩენების სისტემურად გატანა-უტილიზაციას, შესაძლებელია დამატებითი ფინანსური სახსრების გამოყოფასთან დაკავშირებით აქტიური მოლაპარაკებები წარიმართოს ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან (მუნიციპალური განვითრების ფონდთან და სხვ), რომელშიც ჩართული იქნება როგორც პრეზიდენტის რწმუნებულის ადმიანისტრაცია, ასევე ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია;

4.2.3 დამატებითი ფინანსური სახსრების მობილიზების მიზნით საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებების წარმოება; – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი იძლევა საშუალებას, რომ საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა გაიღონ ფინანსური სახსრები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის, თუმცა ყოველივე ამისთვის საჭიროა მომზადდეს სისტემურად გაანალიზებული პროექტები (წინადადებები) და წარედგინოს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს. პროექტის მთავარი მიზანი იქნება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ნარჩენების გატანა-უტილიზაციის პრობლემის მოგვარება, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ტურიზმის და საბოლოო ანგარიშით მუნიციპალიტეტის მდგრად განვითრებას;

4.2.4 ნარჩენების გატანა-უტილიზაციისთვის მუნიციპალიტეტის მიერ შემოღებული მოსაკრებლის (ტარიფის) ანალიზი და ადმინისტრირების მოქნილი სისტემის შემუშავება; – აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით საქართველოს მუნიციპალიტეტებში (მათ შორის ზუგდიდში) არ არსებობს ნარჩენების გატანა-უტილიზაციის მოსაკრებლის დათვლის (დაანგარიშების) თანამედროვე მეთოდოლოგია. შესაბამისად მუნიციპალიტეტში დაწესებული ტარიფი ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება ნარჩენების გატანა-უტილიზაციისთვის რეალურად საჭირო ფინანსურ სახსრებს. ამდენად აუცილებელია შემუშავდეს ტარიფის დათვლის ისეთი მეთოდოლოგია, რომელშიც რეალურად იქნება გათვალისწინებული მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ყველა ნიუანსი. გარდა სატარიფო პოლიტიკისა, პრობლემატურ საკითხად რჩება მოსახლეობიდან მოსაკრებლის ადმინისტრირების ეფექტური მექანიზმის შემუშავება. ამისათვის აუცილებელია მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავდეს გეგმა, რომელიც სხვადასხვა სტიმულებიდან (მაგ: მომსახურების ხარისხი და სხვ.) გამომდინარე გაზრდის მოსახლეობიდან მოსაკრებლის მობილიზების (ამოღების) მაჩვენებელს.

ამოცანა 4.3 შემუშავებულია ნარჩენების გატანა-უტილიზაციის მართვის (მენეჯმენტის) ეფექტური სისტემა

საქმიანობა:

4.3.1 ადამიანური რესურსების გაძლიერება ნარჩენების მართვის სფეროში; – აღსანიშნავია, რომ ფინანსური რესურსების სიმწირესთან ერთად მუნიციპალიტეტში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ნარჩენების მართვის სფეროში პროფესიონალი კადრების საკითხი, შესაბამის სამსახურში დასაქმებულ ადამიანებს არ აქვთ ინფორმაცია განვითარებული (ევროპული) ქვეყნების მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მართვის მდგომარეობის (დაგეგმარების) შესახებ, შესაბამისად არასრულყოფილია ნარჩენების მართვის სფეროში არსებული მუნიციპალური გეგმები, ხედვები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). გამომდინარე აქედან საჭიროა გამოცდილი ექსპერტების მიერ შემუშავდეს სპეციალური ,,ტრენინგ-მოდული“ და ნარჩენების მართვის შესახებ სრულყოფილად მიეწოდოთ ინფორმაცია იმ ადამიანებს, რომლებსაც შემდგომში პირდაპირი შეხება ექნებათ ნარჩენების მართვის საკითხებთან;

4.3.2 მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების გატანა-უტილიზაციისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ანალიზი; – აღნიშნულ ეტაპზე მოხდება ნარჩენების გატანა-უტილიზაციისთვის საჭირო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის აღწერა (არსებული სურათის შესწავლა), რომლის შემდეგ გაანალიზდება თუ რა ტექნიკური პოტენციალი აქვს მუნიციპალიტეტს სფეროს შემდგომი განვითრებისთვის;

4.3.3. ნარჩენების გატანა–უტილიზაციის სფეროში მოქმედი კერძო ოპერატორების კვლევა; – აღნიშნული აქტივობა გულისხმობს მუნიციპალიტეტში და რეგიონულ დონეზე არსებული იმ კერძო კომპანიების ანალიზს, რომლებსაც აქვთ რესურსი შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე პასუხისმგებლობა აიღონ ნარჩენების გატანა-უტილიზაციაზე. ამავე დროს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მიერ უნდა მოხდეს კერძო-საჯარო პარტნიორობის ფორმების ანალიზი და აღნიშნული ალტერნატივებისგან მუნიციპალიტეტისთვის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა.

5.4. პროგრამის განხორციელების სავარაუდო გეგმა და რესურსები

#	აქტივობა/საქმიანობა	2011				2012				2013				საჭირო რესურსები	პასუხისმგებელი უწყება
		I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV		
1.	**ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მდგომარეობის მოწესრიგება**														
1,1	ადგილობრივი გზების მშენებლობაზე და რემონტზე ხარჯების ზრდა													პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტი	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
1,2	საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშა-ვება ახალი კადრების მისაღებად													ადგილობრივი კადრები და მოწვეული ექსპერტები	ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური
1,3	კვალიფიციური პერსონალის შერჩევა													მოწვეული ექსპერ-ტების ანაზღაურება	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
1,4	პერსონალის შრომის ანაზღაურების მოწესრიგება და მოტივაციის გაზრდა													პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტი	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
1,5	სტანდარტების და ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება													CIESR-ს შემუშავებული სტანდარტების გადახედვა და მიღება	ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური
1,6	საპროექტო ორგანიზაციებში სტანდარტების და ტექნიკური რეგლამენტების დანერგვა													ტრენინგების მასალები და ტრენერთა შრომის ანაზღაურება	ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური
1,7	მიმწოდებელ ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის გაუმჯობესება													სატენდერო მოთხოვ-ნები და დამატებითი ფინანსური რესურსები	მიმწოდებელი ორგანი-ზაცია მუნიციპალიტეტის მოთხოვნით
1,8	ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა და შეკეთება ახალი სტანდარტებით და რეგლამენტებით													პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტი, დამატებითი ფინანსები	ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური
1,9	შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი და შეფასება													მონიტორინგის შერეუ-ლი ჯგუფის შექმნა	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
2.	**სასმელი და სარწყავი წყლის მიწოდების გაუმჯობესება**														

2,1	ცენტრალურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების გამართვა საკუთარი შემოსულობების ზრდასთან დაკავშირებით													თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის რესურსები	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
2,2	მუნიციპალური განვითარების ფონდიდან კაპიტალური პროექტებისათვის დამატებითი სახსრების მოზიდვა													პრეზიდენტის (მთავრობის) სამხარეო რწმუნებულის აპარატი	მუნიციპალიტეტის გამგეობა
2,3	საკუთარი შემოსულობების ამოღების მაჩვენებლის ზრდა													სამუშაო ჯგუფი (სამსახური)	მუნიციპალიტეტის გამგეობა
2,4	არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული სახსრების რაციონალური გამოყენება													არაფინანსური აქტივების მართვის გეგმა	მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახური
2,5	სოფლად არსებული წყლის სიტემების მდგომარეობის ძირეული კვლევა													სამუშაო ჯგუფი და ექსპერტების დაფინანსება	მუნიციპალიტეტის გამგეობა
2,6	მუნიციპალური სერვისების ხარისხის სტანდარტის დადგენა													CIESR-ს შემუშავებული სტანდარტების გადახედვა და მიღება	ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური
2,7	ზედამხედველობის ფუნქციის დახვეწა წყლის სიტემის რეაბილიტაციის მონიტორინგის კუთხით													სამუშაო ჯგუფი	ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური
2,7	ადგილობრივი წყლის მცნების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრის ლობირება													თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის რესურსები	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
2,8	სოფლად წყლის მიმწოდებელის განსაზღვრა საკანონმდებლო დონეზე													თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის რესურსები	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო

2,9	წყლის მიწოდების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება													პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტი, დამატებითი ფინანსები	ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური
3.	**სოციალური დახმარების პროგრამების ეფექტურობა და გამჭვირვალობა**														
3,1	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლების გაზრდა													პრეზიდენტის (მთავრობის) სამხარეო რწმუნებულის აპარატი	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
3,2	ერთჯერად სოციალური პროგრამების განსახორციელებლად საჭირო სავარაუდო თანხების ასახვა მუნიციპალური ბიუჯეტის გეგმაში													პროგრამული ბიუჯეტი	საფინანსო სამსახური; ჯანდაცვის, სოც. საკითხ–თა, ვეტერანთა საქმეების, ლტოლვილთა და იძუ–ლებით გადაადგილე–ბულ პირთა სამსახური
3,3	ადგილობრივი ქონების გადასახადისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განაკვეთის გაზრდა													სამუშაო ჯგუფი	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
3,4	ერთჯერადი სოციალური დახმარებების სისტემურად მდგრადი ფინანსური მექანიზმების შექმნა													სამუშაო ჯგუფი	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
3,5	ადგილობრივი სტატისტიკური მონაცემების სამსახურის შექმნა													ადგილობრივი სამსახური	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
3,6	ერთჯერად სოციალურ დახმარებებზე თანხების გამოყოფასთან შექმნილი კომისიის სხდომების გამჭვირვალობა													ადგილობრივი და ცენტრალური მედია	მუნიციპალიტეტის აპარატი
3,7	საკანონმდებლო დონეზე ცვლილების განხორციელება და უფლებამოსი–ლებების გამიჯვნა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის													თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის რესურსები	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო

4.	**ნარჩენების გატანა-უტილიზაციის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან**														
4,1	მუნიციპალურ დონეზე სპეციალური ჯგუფის შექმნა და ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება													CIESR-ს შემუშავებული სტანდარტების გადახედვა და მიღება	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
4,2	ახლადშემუშავებული ტექნიკური რეგლამენტების რეალურად გამოყე-ნების ეფექტური ინსტრუმენტის შექმნა													სამუშაო ჯგუფი და ექსპერტების დაფინანსება	მუნიციპალიტეტის გამგეობა
4,3	მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების გატანა-უტილიზაციისთვის საჭირო ინფრა–სტრუქტურის და ბაზრის ანალიზი													სატენდერო მოთხოვ-ნები და დამატებითი ფინანსური რესურსები	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
4,4	ნარჩენების გატანა-უტილიზაციის სფეროში დაფინანსების გაზრდის მექანიზმების შემუშავება													სამუშაო ჯგუფი	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
4,5	დამატებითი ფინანსური სახსრების მობილიზების მიზნით საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებების წარმოება													თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის რესურსები	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
4,6	ნარჩენების გატანა-უტილიზაციისთვის შემოღებული მოსაკრებლის ანალიზი და ადმინისტრირების მოქნილი სისტემის შემუშავება													სამუშაო ჯგუფი და ექსპერტების დაფინანსება	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
4,7	ადამიანური რესურსების გაძლიერება													ტრენინგების მასალები და ტრენერთა შრომის ანაზღაურება	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
4,8	შემუშავებული სტანდარტების შესაბამისად ნარჩენების გატანა–უტილიზაცია													პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტი, დამატებითი ფინანსები	ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური